წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 2 ქრისტეშობისთვე 1915 წ. № 157

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.
მოგვარებით იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეწყდება.
მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.
კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვიდათ.

„წითელ ხიდის“ საქარვასლაში, სულ რამდენიმე ნაბიჯზე, თითქმის სადგურთან, გაიხსნა
სასტუმრო „ჯუგაანი“
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—11 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

(8—1)
[illegible]

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო
„პეტროგრად“-ში
კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ
მზადდება ყოველნაირი
ევროპიული და აზიური საჭმლები
ძრიელ ხელმისაწვდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.
თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.
შეიძლება ვახშმის შეკვეთა.
პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.
25—22

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსების მსმენელი ქალი
ეძებს გაკვეთილს,
ან ბინას, სადაც საჭიროა მასწავლებელი ქალი. მომზადება ყველა საგნებში (გარდა ენებისა) ყოველი კლასისათვის. უმთავრესად კი ქართულ ენაში. მისამართი იკითხეთ „საქართველოს“ რედაქციაში.
(15—11—5)

„სორაპანის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
თბილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს.
5—10—4

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

1 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა. მოგინსკი ტბის დასავლეთის მიდამოებში, რუსების რაზმი მტერს ზურგიდან მოექცა და ხიშტებით განდევნა გერმანელების ნახევარი როტა სოფ. ვოინიუნიდან, ტყვედ წამოიყვანა აფიცერი, რამდენიმე ჯარისკაცი. დავლად წამოიღო ტყვიისმფრქვეველი.**

**კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

ბალკანეთში

**ბუქარესტი.** სოფიიდან იტყობინებიან: ბულგარეთში მთავრობამ ორი მთავარი ინსპექტორი დანიშნა: გენერალი რადკო-პეტროვი-მაკედონიაში, ხოლო გენერალი კუტინჩევი სერბეთში. ორივეს დავალებული აქვს ამ კუთხეების ადმინისტრატიული მოწესრიგება.

საბერძნეთის საზღვრებისაკენ მოკავშირეთა ჯარის სტრატეგიული მსვლელობა წესიერად მიმდინარეობს.

**ბუქარესტი.** ბულგარეთიდან იტყობინებიან: საზოგადოებრივი აზრი ომის შეჩერებას მოითხოვს. წარსულ კვირას მეფის სასახლის წინ სოციალისტებმა დიდი ანტიმილიტარისტული დემონსტრაცია მოახდინეს. პოლიცია ვერას გახდა და ცხენოსანი ჯარი გამოიყვანეს, რომელმაც ხალხი გაჰფანტა. ორივე მხრივ არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

**სოლუნი.** ბულგარეთისა და ოსმალეთის კონსულებმა 500 კომიტაჯისაგან შეადგინეს რაზმი, ყარაჯევის მთაგორიან ადგილებში სამოქმედოთ. უმეტესად ოსმალებია. მათ დავალებული აქვთ ფრანგ-ინგლისელთა ჯარი ზურგის მხრიდან შეაწუხონ. ბერძნებმა ერთი რაზმი გაჰგზავნეს მათს გასაფანტავად. ბრძოლის დროს ოსმალები დიდათ დაზარალდნენ. სოლუნის ბერძნული გაზეთები გულისწყრომას აცხადებენ, რომ ცენზურა ასეთ ამბების გამომჟღავნების ნებას არ აძლევს.

**სოლუნი.** თუმცა 27 გიორგობისთვეს, მთელი დღის განმავლობაში ბულგარელები ზედი-ზედ იერიშით მიდიოდნენ მოკავშირეთა ჯარზე, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს დანიშნულ ადგილამდე მისვლა. ბრძოლა განახლდა 28 გიორგობისთვეს, თითქმის მთელი ბრძოლის ხაზზე. უკანასკნელის ცნობებით, გერმანელ-ბულგარელთა ყველა იერიში მოიგერიეს.

მოკავშირეთა ჯარის გენერალთა და შტაბების წარმომადგენელთა უკანასკნელი თათბირი მოხდა.

ყოველდღე მოდის ინგლისელთ ახალახალი ჯარი.

**პარიჟი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ფრანგების ჯარი კვლავ უკან იხევს. 28 გიორგობისთვეს მათ უბრძოლველად დაიწიეს სმოკეიც—დოირანის ტბის ხაზზე, ამ დღეს ბულგარელების რამდენიმე იერიში მოიგერიეს.

**სკარდი.** (დაგვიანებულია) „პრეს-ბიურო“ იტყობინება: სერბეთის ჯარმა სრულის წესით დაიხია, მხოლოდ რამდენიმე მცირე ბრძოლა მოუხდათ.

**ცეტინიე.** „პრეს-ბიურო“ იტყობინება 27 გიორგობისთვის თარიღით: „მთელი ბრძოლის ხაზზე მოწინავე რაზმების ბრძოლა სწარმოებდა, მთაშაველთ ხელთ იგდეს 30 ტყვე“.

**ათინა.** ნამდვილი წყაროებიდან ცნობა მოვიდა: სერბიელთა სამი არმია, რომელმაც ალბანეთისაკენ დაიხია, ელბასანსა და ტირანუს დაუზარალებლად მიაღწია.

გემის დაღუპვა.

**ათინა.** სანდო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მარმარილოს ზღვაში ინგლისის წყალქვეშამ პრინცის კუნძულების გასწვრივ, ოსმალეთის ნაღმოსანი დაღუპა.

შავ ზღვაზე.

**ათინა.** იტყობინებიან: შავ ზღვაზე „გებენი“ გამოჩნდა და წყალქვეშამ დააზიანა.

საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიჟი.** დღის ოფიც. ცნობა. შამპანში, მენილის ბორცვის სამხრეთით, გერმანელებმა ნაღმით ააფეთქეს ფრანგების მოწინავე სანგარი და დაიპყრეს აფეთქებული ადგილი. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ცვლილება არ მომხდარა.

იტალიის ასპარეზი.

**რომი.** მთავარ ბანაკის ცნობა. მთელი ბრძოლის პირზე ზარბაზნებით ბრძოლაა. კარსოზე იტალიელთა ქვეითა ჯარმა ერთი გამაგრებული ადგილი აიღო, ხელთ იგდო თოფები, სამხედრო მასალა და ყუმბარის მტყორცნელი.

**რომი.** მთავარ ბანაკის ცნობა. 29 გიორგობისთვეს კუდიკარიისა და კანჩეს კლდიან ადგილებში იტალიელებმა მარჯვე იერიში მიიტანეს სიმაღლეებზე, რომლის აღებით მეცცეკის მიდამოებზე გაბატონდებიან. იერიში 27 გიორგობისთვეს დაიწყო და დიდის სიფრთხილით სწარმოებდა, რადგანაც მოპირდაპირე ძლიერი სიმაგრიდან მედგრად უშენდა ზარბაზნებს ლარგანოს მიდამოში. ქვეითა ჯარი 27 გიორგობისთვეს ღამით მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს. სახელდობრ ვიეს მთის წვერის დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს, მასციის მთის უკან, ნოცცოლის სამხრეთ-დასავლეთით. მეორე დღეს, დილით ერთბაში იერიშით აიღეს მტრის გამაგრებული ადგილი და სანგრები. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ცვლილება არ მომხდარა.

**რომი.** პალატამ მთავრობის წინადადებას, ნახევარ წლის სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის საქმეში მიემხრო 391 დეპუტატი, 40 წინააღმდეგ.

საბერძნეთში.

**პარიჟი.** ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობამ ათინის მთავრობას აცნობა თავისი შეერთებული ჯარის მოქმედების გეგმა მახლობელ აღმოსავლეთში. ინგლისი და საფრანგეთი ისე მოქმედობს, როგორც ერთი მთლიანი ერი. ამან გავლენა მოახდინა ათინაში. მეფე კონსტანტინე დასთანხმდა სალონიკიდან თავისი ჯარი გაიყვანოს, ერთი დივიზიის გარდა. რკინის გზა მოკავშირეთა გამგეობაში გადავა, რომ ჯარის მოძრაობას ხელი შეეწყოს. მოკავშირეებს უფლება ეძლევათ რკინის გზაზე თავისი მოსამსახურენი განაწესონ. ამბობენ, შესაძლებელია მოკავშირეებს სანგრების გამაგრების უფლებაც მისცენო.

ბელგიის ასპარეზი.

**ჰავრი.** ბელგიის ცნობა. ბელგიელები ლუიგენთან მარჯვედ უპასუხებდნენ გერმანელების ზარბაზნებს. დიქსმიუდეს ჩრდილოეთით მოპირდაპირეს მუშები გაჰფანტეს და დენტუანთან მათს მოწინავე სადარაჯოს სროლა აუტეხეს.

ბალკანეთში.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს ცნობა: მოპირდაპირის ძლიერმა ჯარმა, რომელიც ინგლისელებისას სჭარბობდა, დოირანის ტბის დასავლეთიდან ვარდარის ველამდე შეუტია. აქ მთაგორიანი ადგილის გამო ინგლისელებმა 8 საველე ზარბაზანი ისეთ ადგილას გამართეს, საიდანაც უკან დახევის დროს წამოღება მოუხერხებელი გახდა. აქ 1500 მეომარი დაჰკარგეს ინგლისელებმა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს დიპლომატთა წრიდან შეუტყვია. რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს, სოლუნიდან თავისი ჯარი არ გაიყვანონ.

საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიჟი.** საღამოს ოფიციალი ცნობა. ბელგეთში ფრანგების ზარბაზნებმა რამდენიმე ადგილას მოპირდაპირის ზარბაზნები ჩააჩუმა. ინგლისის საბარგო გემი დღეს დილით ბელგეთის სანაპიროებთან კლდეს წააწყდა. გერმანელთა სამი ჰიდროპლანი შეეცადა გემი ყუმბარებით დაეღუპა, მაგრამ მოიგერიეს. საფრანგეთის ნაღმოსანი დიუკერკიდან მოვიდა და გემი გადაარჩინა, თუმცა გერმანელები საშინლად უშენდნენ ზარბაზნებს. შამპანში, მასსიავის მიდამოებში გერმანელები ცრემლის მომგვრელ ყუმბარებს ისროდნენ. ფრანგებმა სამაგიეროდ დაუნგრიეს სანგრები შოსენის სიმაღლეებზე. „193“ სიმაღლის მიდამოებში ფრანგები მარჯვედ ესროდნენ გერმანელების სანგრებს. ვოგეზებში დროგამოშვებით ზარბაზნებით ბრძოლა იყო. აქ ძლიერი ქარიშხალი ხელს უშლიდა საომარ მოქმედებას.

იაპონია.

**ტოკიო.** ზღვათა მინისტრად ნამყოფი ადმირალი იაროო მე-2 ესკადრის უფროსად დაინიშნა.

**შეერთებული შტატები და ავსტრია.**

**ვაშინგტონი.** „ანკონის“ დაღუპვის გამო შეერთებულ შტატების მთავრობამ ავსტრიის ნოტა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია: გემი მაშინ დაუღუპავს ავსტრიის წყალქვეშას, როდესაც მგზავრები ზედვე ყოფილან. ამგვარად წყალქვეშას უფროსს საერთაშორისო წესები დაურღვევია და კაცთმოყვარეობა შეულახავს. შტატების მთავრობა თხოულობს ასეთი საქციელი დაჰგმოს ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ, დასაჯოს დამნაშავე აფიცერი, ხოლო დაჭრილთა ოჯახებს ზარალი აუნაზღაუროს. იმედია ავსტ.-უნგრეთის მთავრობა გაითვალისწინებს ამ საქმის მნიშვნელობას და დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს შეერთებულ შტატების მოთხოვნილებას.

ჩინეთი.

**პეკინი.** ხალხის წარმომადგენელთა მეორედ მიმართვის შემდეგ, იუანშიკაიმ ახალი ბრძანება გამოსცა: ვეღარ ვეურჩები ხალხის სურვილს რომელმაც ერთ ხმად ამირჩია იმპერატორად, მაგრამ დროებით ვტოვებ ისევ არსებულ ადმინისტრატიულ წესწყობილებას.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

სპარსეთი.

**ნარკვევი დიპლომატიურ ცნობებიდან.**

თეირანში დაბრუნებული ოსმალეთის ელჩი ყოველ ღონეს ხმარობს მუდმივი და თავისუფალი ურთიერთობა დაიჭიროს ირანის მბრძანებელთან და შეაცვლევინოს მისი პოლიტიკური კურსი, რომელიც გამოიხატება რუსეთ-ინგლისისადმი მეგობრულ განწყობილების გაგრძელებაში. ამავე მიზნით დაუბრუნდა თეირანს ავსტრიის ელჩი. გერმანეთის ელჩი ყუმში დარჩა, სადაც შესდგა „თავდაცვის კომიტეტი“, რომელიც აშკარად გერმანეთის მხარეზეა. გერმანეთის ელჩი, პრინცი რაისი, დიდს იმედს ამყარებს ამ კომიტეტზე, რუსეთისა და ინგლისის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში. პრინცი რაისი პირადად ხელმძღვანელობს ამ კომიტეტს; ყოველგვარ დახმარებას აძლევს.

თეირანში დაბრუნდა აგრეთვე მეჯლისის რამოდენიმე დემოკრატი-დეპუტატი, რომლებიც გერმანეთ-ოსმალეთის მხარეზე დგანან. თუმცა სპარსეთის მთავრობა შაჰის მეთაურობით მეგობრობას ეფიცება რუსეთსა და ინგლისს, მაგრამ რუსეთის დიპლომატიურ წრეებში შაჰის გულწრფელობა არა სჯერათ: და რადგანაც გერმანეთის აგენტები რუსეთის საწინააღმდეგო აგიტაციას განაგრძობენ, ამიტომაც დიპლომატები ურჩევენ რუსეთის მთავრობას, სპარსეთის წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღოს.

პოლონეთი.

**პოლონელ მოღვაწეთა ყრილობა.**

პეტროკოვში მოხდა პოლონელ მოღვაწეთა ყრილობა, პოლონეთის ეროვნულ პოლიტიკის განსახილველად. მონაწილეობას იღებდენ პოლონეთის ყველა პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენლები, წარმომადგენლები ქალაქებისა, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობებისა და საზოგადოებისა, ინტელიგენციისა, მემამულეებისა და გლეხებისა.

**მოკავშირენი სალონიკში.**

ფრანგული გაზეთის „Matin“-ის ცნობით სალონიკში ყოველ დღე ჩამოდის მოკავშირეთა ჯარი, დაახლოვებით სამი ათასი ჯარისკაცი სათანადო სურსათით და საომარ მასალით. იმავე გაზეთის ცნობით ფრანგები და ინგლისელები დიდი ხანია რაც სიმაგრეების აგებას შეუდგნენ. რაც გინდა სთქვან, მოკავშირენი მაკედონიაში დროს არ კარგავენო.

საბერძნეთი.

**უცხოეთის პრესა საბერძნეთის შესახებ.**

ინგლისური გაზეთი „Times“-ი ტუქსავს ყოფილი პრემიერის ვენიზელოსის ტაქტიკას: პოლიტიკურ ბრძოლიდან განზე გადგომას და არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობას. გაზეთის აზრით ასეთი პოლიტიკური პარტია სიცოცხლის ნიშანს არის მოკლებული და მისი მომავალი—საფლავია. იგივე გაზეთი ფიქრობს, რომ დღევანდელს პირობებში ვენიზელოსი და მეფე შეერთებულიყვნენ, მთელი საბერძნეთი მოგერიებული დარჩებოდაო.

**ბრძოლის ველზე გამოდის.**

იტალიურ გაზეთ „Corriere della Sera“-ს ცნობით, რომელიც ათინიდან მიუღია და ბერძნულ სამხედრო ცენზურას გაუშვია, საბერძნეთი მოკლე ხანში ბრძოლის ველზე გამოვა. მაშინ როდესაც საბერძნეთის მინისტრები მოკავშირეთა ელჩებთან მოლაპარაკებაში ერთობიან, მეფე კონსტანტინე იმ ცდაშია რომ თავისი ჯარი რაც შეიძლება მალე გაიყვანოს ბრძოლის ველზე გერმანეთ-ავსტრო-უნგრეთის ჯარის გვერდით. მიუხედავად დიდი ფინანსიური გასაჭირისა, სამხედრო სამზადისი მეტის მეტი ჩქარის ტემპით მიდის. საბერძნეთის სამხედრო წრეებში იხილავენ, თუ რა ღონისძიება უნდა იქნას ხმარებული იმ ბლოკის გასაბა-

თილებლად, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა შემოარტყა საბერძნეთის სანაპიროებს. ეს საკითხი გამოირკვევა თუ არა, საბერძნეთი აშკარად გამოვა ბულგარეთ-ავსტრია-გერმანეთის მხარეზე, რომ მათთან ერთად ზღვაში გადაყაროს მოკავშირეთა დესანტი.

**უცხოეთის პრესა საბერძნეთის შესახებ.**

გაზეთი „Pall-Mall-Gazette"-ი ეხება საბერძნეთის მეფეს და გრძლად ახასიათებს. ბოლოს გაზეთი ასე დაასკვნის: საბერძნეთის მეფემ მოატყუა სერბეთი, მოატყუა მოკავშირეთა მიკრობები, მოატყუა თვისი პირველი მინისტრი და თავისი ქვეყნის კონსტიტუციაც. გერმანეთის შიშმა გზა-კვალი აუბნია და საკუთარი ღირსების დაცვაზე ხელი ააღებინაო.

——

„Westminster Gazette"-ი ეხება საბერძნეთ-სერბეთის ხელშეკრულობის საკითხს და ამბობს: სასაყვედურო არა გვექნებოდა რა, რომ საბერძნეთს თავიდანვე ეცნობებია თავისი შეხედულება იმ ხელშეკრულობის თაობაზე, რომელიც საბერძნეთსა და სერბეთს შორის იყო დადებული. რომ სერბეთი წინასწარ გაფრთხილებული ყოფილიყო და სცოდნოდა, რომ მას საბერძნეთი მხარს არ დაუჭერდა, თქმა არ უნდა იგი შეეცდებოდა ბულგარეთთან შეყაბულებას, ხოლო მოკავშირენი თავიანთი მხრივ ეცდებოდენ ხელი შეეწყოთ, თანხმობა ჩამოეგდოთ სერბეთსა და ბულგარეთს შორის. უკეთუ ეს შეთანხმება არ მოხდებოდა, მაშინ მოკავშირენი იმ თავითვე შესაფერ თადარიგს მიიღებდნენ სერბეთის საშველად. საბერძნეთის პოლიტიკა დასაძრახია, რადგანაც მან სერბეთ-საბერძნეთის ხელშეკრულობის მიმართ ერთბაშად გარკვეული პოზიცია ვერ დაიჭირა. დასაძრახია იმიტომ რომ დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს სერბეთის მეგობარი ყოფილიყოს ჭირსა და ლხინში. დასაძრახია მისთვის, რომ მან უარყო თავისი პირვანდელი შეხედულობა იმ ხანებში და ისეთ პირობებში, როდესაც მოკავშირეებს და სერბეთს არ შეეძლოთ თავიანთი გეგმის შეცვლა, რომელიც დამყარებული იყო საბერძნეთის დახმარების ვარაუდზეო.

——

„Associated Press"-ის თანამშრომელს საუბარი ჰქონია საბერძნეთის მეფე კონსტანტინესთან, რომელსაც განუცხადებია, რომ საბერძნეთი ნეიტრალობას დაიცავს და იგი ეჭვი უსაფუძვლოა, ვითომც საბერძნეთი გერმანეთის მიმხრობას ლამობდეს. საბერძნეთს კარგად ესმოდა თავისი ნეიტრალობა, რათა ამით მოკავშირეთა სურვილისთვის მეტი სარგებლობა მოეტანაო.

მეფე კონსტანტინეს თვით მიუცია სიტყვა, რომ მოკავშირეთაგან გადმოსხმულ ჯარს არავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევდა და ვინიცობაა მოკავშირეთ საბერძნეთისკენ დაეხიათ გერმანელების წინააღმდეგ ზომას მიიღებდა და ამით საშუალებას მისცემდა მშვიდობიანად გასულიყვნენ ზღვით ბალკანეთიდან.

საბერძნეთი ამის მეტს ვერაფერს გააკეთებდა. მეფეს არ ჰსურს სოლუნიდან და სხვა მოსაზღვრე ადგილებიდან ჯარი გაიყვანოს და არც ის ჰსურს, რომ საბერძნეთს ძალით თუ რჩევით ნეიტრალობა დაარღვევინონ და ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანონ.

**მშვიდობიანობის ექსპედიცია**

ამერიკელი მილიარდერის ფიორდის საზავო ექსპედიცია ამ კვირაში ჩამოვა ქრისტიანიასა და კოპენჰაგენში. ევროპაში მოსვლის უმალ ექსპედიცია დელეგაციებად დაიყოფება, რომელთაგან უმთავრესნი მუშაობას შეუდგებიან კოპენჰაგენში, ქრისტიანიაში და განსაკუთრებით ამსტერდამში. ექსპედიციას აზრად აქვს ნეიტრალ სახელმწ. გარეშე საქმეთა მანისტრების შემწეობით ზავის წინადადებით მიმართონ მებრძოლ მხარეთ. ფიორდის საზავო ექსპედიციაში 165 კაცია, რომელთა შორის 60-მდე ჟურნალისტი ურევია.

**ვილჰელმის და ფერდინანდის შეხვედრა**

ამ დღეებში იმპერატორი ვილჰელმი, ავსტრია-გერმანეთის ტახტის მემკვიდრისა და მაკენზენის თანხლებით ინახულებს ბელგრადსა და ნიშს, რის შემდეგაც სოფიაში გაემგზავრება მეფე ფერდინანდის სანახავად.

სტამბოლში ვილჰელმის წასვლის საკითხი ჯერ გადაჭრილი არ არის.

**მთაშავეთი.**

**მკაცრი ბრძოლა.**

ავსტრია-უნგრეთის მთავარი სამხედრო ბინის ცნობით მთაშავეთის ბრძოლის პირის გასწვრივ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. ახალ-ბაზრის სანჯაკიდან მომავალი ავსტრია-უნგრეთის ჯარებს ხელთ უგდიათ ბერანის ახლო მახლო მდებარე პოზიციები. განუწყვეტლივ სწარმოებს მკაცრი ბრძოლა, სუხოდოლის მახლობლად და იპეკის რაიონში. გეოგრაფიულ პირობების წყალობით ავსტრია-გერმანეთის ჯარი ჩვეულებრივის სისწრაფით წინ ვერ მიდის და ზედიზედ მეტი ზარალი მოსდის, მაგრამ მაინც ნელ-ნელა პოზიციას-პოზიციაზე ართმევს მთაშაველებს და მათი ქვეყნის შუაგულისკენ შეუდრეკლად მიიმართება.

# უკანასკნელი ფოსტა

ბალკანეთის ფრონტზე მოკავშირეთა მარცხენა წვერმა და ჯარის შუაგულმა უკან დაიხია. მარჯვენა წვერი თავის ალაგზეა. მოკავშირეთა ჯარი საბერძნეთის საზღვარზე დაბანაკდა.

— მოკავშირეთა და საბერძნეთს შორის, როგორც ამბობენ, მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

— რიცხვი სპარსეთის იმ ჟანდარმერიისა, რომელიც გერმანეთს მიემხრო 8,000 ახწევს. თეირანიდან გადაუტანიათ მთელი არსენალი 18 ათასი თოფი და 2 მილიონი პატრონა.

— სტამბოლში მისულა ბულგარელთა ორი პოლკი და გერმანელთა მრავალი ცხენოსანი ჯარი.

— ბულგარელები გევგელს ზარბაზნებს უშენენ.

— მაკენზენი კონსტანტინეპოლში მივიდა. ამბობენ, ენვერ ფაშას და თალაათბეის მოსარიგებლადაო.

# ბრძოლის ველზე

სერბეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მომწყვდეულ ინგლის-საფრანგეთის ჯარს განსაცდელი მოელის. გუშინდელი დეპეშიდან ვიცით, რომ იგი ვერ გაუმაგრდა ბულგარებსა და გერმანელებს და უკუდახევას დაადგა. უკუდამხევეთ მოპირდაპირე კვალ და კვალ მისდევს. შემოტევას აშურებს და ბრძოლას ამძაფრებს. პოზიციებიდან აყრილ და შედარებით ნაკლებ რიცხოვან მოპირდაპირის საგრძნობლად დაზიანება და დამარცხება უფრო ადვილი საქმეა, ამიტომაც ბულგარები დღე და ღამე განუწყვეტელ ბრძოლაში არიან საექსპედიციო ჯარებთან.

მეორეს მხრით, ფრანგებსა და ინგლისლებს ზურგიდან თავს ესხმიან ოსმალთა მოხალისე გუნდები, ესენი თავშეფარებულნი არიან კარაჯოვის მთიან ადგილებში დ საგრძნობელ ზიანს აყენებენ ფრანგებსა და ინგლისელებს. ამ სახიფათო მდგომარეობიდან გამოსვლა, თუ შეუძლებელი არა, ერთობ ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ ბალკანეთის ნეიტრალ სახელმწიფოებიდან მოკავშირენი შველას არ მოელიან. ხოლო ის მცირეოდენი მაშველი ჯარი, რომელიც ყოველ დღე სალონიკში მათ ჩამოუდის და რომლის რიცხვი 3000 ჯარისკაცს არ აღემატება, სათვალავში ჩასაგდები არ არის. არამც თუ შველას არ მოელიან მოკავშირენი, არამედ პირიქით იმას შიშობენ, რომ საბერძნეთიც არ შეუერთდეს ბულგარეთ-გერმანეთს და შეერთებულის ძალით არ დააჩქარონ მოკავშირეთა ჯარის განადგურება. ამ შიშს თვისი საბუთი აქვს. გარდა იმ ორჭოფულ მდგომარეობისა, რომელსაც თავიდან დაადგა საბერძნეთი საფრანგეთ-ინგლის-რუსეთისადმი, გარდა ხმებისა, რომ ფაქტიურად საბერძნეთი დახმარებას უწევდა გერმანეთს, როგორც მაგალითად კერძოდ გერმანეთის წყალქვეშა ნავებისთვის საჭირო მასალებისა და სურსათის მიწოდებაში,

ასეთ უიმედო პირობებში უხდება ბრძოლა მრავალ რიცხოვან მტრის წინააღმდეგ პატარა საექსპედიციო ჯარს, რომელიც მოწყვეტილია თავის ბაზას, როგორც სურსათის, ისე მაშველი ძალის მიღების მხრივ.

სპარსეთში ნამდვილი ანარქია მეფობს. გარდა შაჰისა და მთავრობის ერთი ნაწილისა, მთელი სპარსეთი ოსმალეთ-გერმანეთის მხარეზეა და წინანდებურად იარაზმება და იარაღს ისხამს. მიღებულია ღონისძიება ოსმალეთ-ავსტრიის ელჩებისაგან, რომ შაჰიც და მთავრობაც დაიყოლიონ და ამ მხრივ მთელი სპარსეთის ფაქტიურად გამორკვეულ პოზიციას ოფიციალი და კანონიერი სახე მისცენ. ოსმალეთ-ავსტრიის ელჩები თეირანში შევიდნენ და შაჰთან ხელახლავ ურთიერთობა გააბეს.

რაც შეეხება რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირს, აქ წინა დღეების სიწყნარე და უმოქმედობა მეფობს.

კავკასიის ბრძოლის პირზე, დეპეშის ცნობით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**მეგრი.**

## თბილისი, 2 ქრისტეშობისთვე.

**ქალაქის საარჩევნო უბნები.**

ბევრჯელ ითქვა, რომ არსებული წესი თბილისის საარჩევნო უბნებად დანაწილებისა შეუწყნარებელი იყო, იმ მთავარ მოტივის გამო რომ ქალაქის ცენზიანი მკვიდრნი, ეროვნული წარმომადგენლობის კვალობაზე ვერ იყვნენ სათანადო პროპორციით წარმოდგენილნი ქალაქის თვითმართველობაში. ბევრჯელ დაიწერა, რომ არსებული წესი სომხეთა საუპირატესოდ ხრიდა სასწორს და რომ სხვა ეროვნება, როგორც ეროვნება, მუდამ დაჩაგრული გამოდიოდა ყოველ არჩევნებიდან.

არსებული წესის ეს ბუნებრივი შედეგი ყველამ კარგად უწყის; დაჩაგრულმა ისევე შვენივრად, როგორც გამარჯვებულმა. ამ უკანონო მდგომარეობის გამოსასწორებლად ნაჩვენები იყო პალიატიური ზომა; საარჩევნო უბანთა რიცხვის გამრავლება. დღეს რომ ზოგ უბანში სხვა ერის დიდი უმცირესობა შეკუმშულია სომეხ ამომრჩეველთა წრეში და სრულიად გაბათილებული, იგი ხვალ გამოეყოფოდა, გაიშლებოდა უფრო თავისუფლად, თუ საარჩევნო უბანთა რიცხვი გამრავლდებოდა. მას შეძლება მიეცემოდა, რამდენიმეთ მაინც, თავის საკუთარი სახე გამოეთქვა.

ეს დიდი უმცირესობა ამგვარად თავს დააღწევდა იმ წალეკვას, რომელიც მას სდარაჯობს ზოგ უბანში სომხეთა ხმების მცირე უმრავლესობისაგან და რომელიც აუცდენელი უბედურებაა დღევანდელს, ერთობ ხელოვნურად შექმნილ უბნების ფარგალში. ეს კანონიერი ზომა და ღონისძიება, რასაკვირველია, არას დროს შეწყნარებული არ ყოფილა თბილისის დღევანდელ აღებისაგან, რომელთაც ასე უყვართ ხოლმე წერა და ლაპარაკი მეზობლობასა და უმცირესობის უფლებაზე! შორს ვიყავით და ვართ კიდეც იმ გულუბრყვილობაზე, რომ მათი ქლაჩუნა და ტკბილი სიტყვა სერიოზულ რამედ დაგვესახა და ამიტომ „ძლიერთაგან ამა ქალაქისათა" არც რაიმე შეღავათის გამოჩენას მოვითხოვთ. თბილისის ქართველობის წარმომადგენელთა სათანადო პროპორციის გაყვანა თბილისის თვითმართველობაში ქართველობის შეგნებული და ერთსულოვანი აქტის ნაყოფი უნდა იყოს. ამ საქმეში, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, უპირველეს ყოვლისა წმინდა ეროვნული თვალსაზრისი გვაინტერესებს. მაგრამ დღეს სახეში მისაღები იყო აგრეთვე სპეციალად ომისაგან შექმნილი მდგომარეობა, რომლისათვის ანგარიშის გაწევა უფრო სავალდებულო უნდა ყოფილიყო როგორც ქალაქის აღებისათვის, აგრეთვე ადგილობრივ მთავრობისათვის. მთელი კუთხე საშინელ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ცალკე მოუსავლობით და ცალკე მუშა ხელის ჯარში წასვლით. სანოვაგის ნაკლებობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო. თბილისი ცენტრია საქართველოსი და კავკასიისა. გარშემორტყმული სოფლები და დაბა-ქალაქები აქედან ეზიდებიან პირველ საჭიროების საგნებს. ასეთ განსაკუთრებულ პირობებში, მეტის მეტი საჭიროა, რომ ყველა ეროვნება ნდობით შეჰყურებდეს თბილისის ქალაქის თვითმართველობას, აუცილებლად საჭიროა ყოველ ეროვნებას ყავდეს თავისი რიცხვის შესაფერი წარმომადგენლები, რათა არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არა ჰქონდეს. ამას მოითხოვდა როგორც თითოეული ერის პსიხოლოგიური სიმშვიდე და თავმოყვარეობა, ისე მთელი კუთხის ეკონომიური და საზოგადოებრივი ინტერესი.

მაგრამ ქალაქის აღებმა ამ მხრივ წელსაც არაფერი გააკეთეს. მათ ძველ განაწილებას დაუჭირეს მხარი. მათი ეგოიზმი გასაგებია. მაგრამ უფრო ნაკლები გასაგებია ადგილობრივი მთავრობის განკარგულება, რომ თბილისში ძველებურად შვიდი საარჩევნო უბანი დარჩენილიყო. ვერაფერი ალღოს აღება ქვეყნის ნამდვილ საჭიროებისა!

## ახალი ამბავი

**ბოტანიკურ ბაღში.** გუშინ ბრძანდებოდენ და დაათვალიერეს ეს ბაღი მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ, დიდმა მთავრინებმა ანასტასია ნიკოლოზის ასულმა და მილიცა ნიკოლოზის ასულმა.

**კახელ წვრილ კრედიტის კავშირი.** ამ თვის 13-ში ქ. თელავში დანიშნულია კურთხევა ახლად დაარსებულ კახეთის წვრილ კრედიტის დაწესებულებათა კავშირისა. კურთხევაზე მიწვეულნი არიან მრავალნი საპატიო პირნი და საზოგადოებათა წარმომადგენელნი ტფილისიდან.

**მიწადმოქმედების დეპარტამენტის** რწმუნებული ბ-ნი შაშკოვსკი როსტოვს გაემგზავრა.

**სამოსწავლო ოლქის** საოლქო ინსპექტორები ბ-ნი სლავინსკი გაემგზავრა ქუთაისს, ხოლო ლარიონოვი ბაქოს სკოლების დასათვალიერებლად.

**მევენახეობისა და მეღვინეობის** კომიტეტის კრება დღესაა დანიშნული. კრებაზე გაირჩევა საკითხი ჩუმლაყის სანერგესთან მევენახეობისა და მეღვინეობის სკოლის დაარსების შესახებ.

**თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი** მიწვეულ იქმნა მეომართა ოჯახების სამზრუნველო კომიტეტის წევრად.

**თბილისის კოოპერატივში** ამ ჟამად 2000 წევრზე მეტია ჩაწერილი თანხა უდრის 16 ათას მანეთს.

**შეშა.** ქუთაისის გუბერნიიდან თბილისის კოოპერატივმა 100 ათას ფუთის შეშის შეძენის წინადადება მიიღო.

**გაფიცვა.** ბ-ნ იაკუბოვიჩის აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტი ქალები გაიფიცნენ, რადგან მათი მოთხოვნილება, ჯამაგირების მომატების შესახებ აფთიაქის პატრონმა არ დააკმაყოფილა.

**გადმოხვეწილ სომეხთა მდგომარეობა.** როგორც სომეხთა ცენტრალ კომიტეტის ცნობებით გამოირკვა, ყაზახის რაიონში 2354 გადმოხვეწილი სომეხი ყოფილა შეხიზნული, ხოლო ახალ ბაიაზეთის მაზრაში 10.982 სული. მოვლა-პატრონობისა და ექიმობის მხრივ საერთოდ უნუგეშო მდგომარეობაში ყოფილან.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი პაპაჯანოვი ერევნის გუბერნიაში გაემგზავრა გადმოხვეწილთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

**მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების წლიური კრება.** 29 გიორგობისთვეს შესდგა საზოგადოების კრება, რომელმაც პირველად ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების მდივნად ყოფილს აწ განსვენებულ ქ-ნ ა. ა. სულხანოვის ხსოვნას. ქ-ნმა ან. მ. წერეთლისამ გრძნობიერი სიტყვით აღნიშნა განსვენებულის მოღვაწეობა საზოგადოების წარსამატებლად. კნ. ელ. პ. ნაკა-

# ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

## IV

**მეცადინეობა სამეფოს დასაბრუნებლად.**

შორეულს რუსეთში გადახვეწილს ვახტანგს გონებიდან არ შორდება ბედკრულ სამშობლოს მწარე ხვედრი, იგი დღე მუდამ მასზედ ჰფიქრობდა, მასზედ ზრუნავდა და ყველას შესჩიჩინებდა ანიავებულ საქართველოს შველასა და დახმარებას. და განა შეეძლო ვახტანგს სამშობლოს უბედურობაზედ ოდნავ მაინც თვალი დაეხუჭნა და გულდამშვიდებული მჯდარიყო შორეულს ქვეყანაში მუხლ მოკეცილი.— ეს ხომ ღალატი იქნებოდა და უარის თქმა მთელ თავისს წარსულს მოღვაწეობაზედ. როგორც ძველად სპარსეთში, სრული შვიდი წელიწადი გაატარა წვა-დაგვაში და თავისს სამშობლოს გულისათვის იძულებული იყო დროებით გარეგნობით მაინც ელალატნა მამა-პაპათა სარწმუნოებისათვის, რომ მით დაქცეული სამშობლო აღედგინა, ეხლა აქაც ცხრა მთის იქით გადმოხვეწილი არა სდგება, იგი გაუჩერებლივ იღწვის და მისი თვალი არ შორდება მრავალ ჭირნახულს საქართველოს. აქაც მისის და უფრო კი შვილების ბაქარისი, ვახუშტისა და სამღვდელოების დახმარებით საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევა, რაიც გაგრძელება იყო იმ დიადი შრომისა, რომელიც პირველად თვით საქართველოში აღმართა. აქ შორეულს მოსკოვში აწყობენ ქართულს სტამბას, აგრძელებენ იმ დიად შრომას—წიგნების ბეჭდვას, რაიც საქართველოში ვერ მოასწრეს და შემდეგ ამავე წიგნებით ჰფენენ მთელს საქართველოს. ამასთანავე ნიადაგს ამზადებს ვახტანგი და შესჩიჩინებს რუსეთის მთავრობას და ცდილობს ყოველივე შემთხვევით ისარგებლოს და ბედკრულ საქართველოს ხვედრი მოაგონოს რუსეთის მთავრობას და სიბრალული აღუძრას ერთმორწმუნე ერის ტანჯვა-წამებისადმი და მონაწილე გაჰხადოს მისი ჭირ-ვარამისა. ამის გამოა, რომ სიხარულით ასრულებს რუსეთის მთავრობის მინდობილობას სპარსეთში, რადგანაც რუსეთი ხაზგასმით ეუბნება, რომ შენი სამშობლოს ბედიც მრავალ გზის არის დაკავშირებული იმასთან—თუ როგორ შეასრულებ და მოაწყობ მაგ მონდობილობასო.

სამშობლოსკენ, დანგრეულს სამშობლოსკენ იყო მიქცეული მთელი ყურადღება ვახტანგისა, იქით მიილტოდა იგი მთელის თავისს ძალღონით. უპატრონოდ დარჩენილს საქართველოს სული კბილით ეჭირა, დღე-ღამე აღარ ეძინა და მოუთმენლად მოელოდა თავისს მხსნელს, თავისს მეფეს. საქართველოში სწამდათ, რომ ვახტანგის გარდა არავის არ შეეძლო მათი ხსნა, მათი გამოყვანა ოსმალთა ულმობელ ბრჭყალებიდგან, ამ მტარვალთა ხელიდგან, რომელთაც სულის ამოხდა უნდოდათ სრულიად საქართველოსათვის. ვახტანგს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი არამც თუ მარტო ქართველებში არამედ კავკასიის სხვა ერებშიაც და განსაკუთრებით კი სომხებში, ამიტომაა რომ ერის კაცი, სამღვდელოება, ქართველი თუ სომეხი მოუთმენლად მისკენ გაიცქირება და როგორც ცის მანანას, ისე მოელის მის გამოჩენას პირქუშ საქართველოს შავის მანდილით მოსილს ტატნობზედ.

ჯერ კიდევ ადრევე, როცა ვახტანგმა გადასწყვიტა რუსეთში წასვლა და გზას გაუდგა, საქართველოს დიდებულნი ევედრებოდნენ, არ გასცლოდა საქართველოს და თუ არ დაიშლიდა თავისი ძე ბაქარი მაინც დაეტოვებინა საქართველოში. ვახტანგმა მაშინ შეუძლებლად სცნო ერთიცა და მეორეცა. ალბად გათვალისწინებული ჰქონდა რა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა, შესაძლებლად ვერ სცნო მისეულ მტერთან გამკლავება და სწორედ ამიტომ სურდა რუსეთში წასვლა, რათა გამოეთხოვნა რუსეთისთვის საკმარისი ძალა და ცდილიყო სამეფოს დაბრუნებას.

წარვიდა რუსეთს ვახტანგი, მაგრამ მის კვალს ჩქარა მისჩხაოდა მისი წასვლით დაობლებული საქართველო. მას მისტირიან ყველანი თავადნი და სასულიერო პირნი, ერისთავნი თუ გლეხნი, ქართველნი თუ სომეხნი. ამ ღაღადისში და ვედრებაში ერთხმივ მოისმის მოთქმა სამშობლოს გაუბედურებისა და თხოვნა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოჰხედონ საქართველოს და თუ თითონ ვერ შესძლებს წამოსვლას, თავისი შვილი მაინც გამოუგზავნოს ბედკრულს საქართველოს. ყველანი ატყობინებენ, რომ არაფერს არ დაზოგავენ და რითაც კი შეეძლებათ დახმარებას აღუთქვამენ და იმედი აქვთ რომ სამშობლოს განათავისუფლებენ მტერთაგან და აღადგენენ მის ძლიერებას.

აი რას სწერს ქსნის ერისთავი შანშე. „არას ფიქრით თქვენი წაბრძანება არ მეგონა და ნიადაგ დღეთ თქვენს ხლებასა და საქმეს ვცდილობდით. შენი ვინმე ამ ქვეყნის რომ არ იყოს, ქვეყანა წახდება და გაურჯულდება. მამეც ეგ თქვენი შვილი მაინც, ამ სოფელსაც მე მომთხოვე და იმ სოფელსაც. შენც გიჯობს მაგის აქ ყოფნა და ჩვენც. [1])

უფრო მეტად მისტირის არაგვის ერისთავი ბიძინა, რომელსაც ხელთ ეჭირა რუსეთის გზის—დარიალის კარი: „ბატონო ჩემო, თუ ეხლა ქართლს მოეპატრონეთ, ისე თქვენია, როგორც ხელის სახოცი გიძევთ ჯიბეში, ისე თქვენია. ერთის ამილახორს გარდა, სულ ქართველთა თავადები დიდისა და ცოტასი მე ვიყო, კიდეც ვარ, თქვენს იქით, არ იციან რა, ქვეყანა ოხერი გდია გულაღმა, დაიხსენ, შენი ცოდვა არის, სხვა რომ ვერავინ გამოიმეტო, ჩემი დისწული მიბოძე. რაზედ ჰყრით ქვეყანას საურჯულოდ? ბოლო ეს არის, თუ ეხლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა თქვენიდამ. [2])

ამასვე შესთხოვს და შესტირის მთლად სომხობა რუსეთის მთავრობას. ვახტანგი ან მისი შვილი გამოგვიგზავნევით ჯარებითაო, რათა გვიხსნან ულმობელ მტერთა მტარვალობისგანაო.[3])

ყველანი კი ერთხმივ მოსთქვამენ და გაიძახიან: მეფე რომ გვყავდეს და გვიწინამძღვროს საქართველო არ დაიღუპებოდა და გაურჯულოვდებოდაო; ამ გვარი ჭირი ამ 150 წლის წინადაც გადახდა საქართველოს, სახელდობრ სვიმონ მეფის დროს, მაშინაც თურქებმა ხელთ იგდეს მრავალი ჩვენი ქალაქნი და დაბა-სოფლები, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით მათი განდევნა; ეხლაც იგივე ქართველები ვართ, იგივე სული და გული გვიდგია, მაგრამ წინამძღოლად არავინა გვყავს.[4])

ამგვარი იყო საერთო განწყობილება საქართველოში, ყველას ოსმალეთის თავი მოსძულებოდა, ყველას მასთან უნდოდა გამკლავება, მაგრამ აკლდათ წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი. ქართველობა ჯერ კიდევ არ დაცემულიყო და დაკნინებულიყო, პირიქით სულით ჯერ ისევ ძლიერი იყო და შეუპოვარი, იგი ეხლა აღარაფერს აღარ იშურებს და მთელის ძალღონით აპირებს მტერთან შებმას და მის შემუსრას. ამისათვის საჭიროა ჯეროვანი დარაზმვა და გზის ჩვენება, რაიც შეუძლიან მხოლოდ ვახტანგსა და მის ძეთა. მთელი ყურადღება საქართველოსი ამიტომ მისკენ არის მიმართული და მისგან ელიან ხსნასა.

ვახტანგი მზად არის ფრთაშესხმული გაფრინდეს თავისს საყვარელს სამშობლოსაკენ, საცა ხალხი მოუთმენლად მოელის თავის მეფეს, რათა მამაშვილურად გულში ჩაიკლას იგი და ხმალამოწვდილი მისის წინამძღოლობით ეცეს მტერსა და შემუსროს. მაგრამ მის აღფრთოვანებულს სურვილს წინ ელობება რუსეთის მთავრობა და გასაფრენად მიმართულს ფრთებს უწყალოდ აკვეცავს.

რუსეთი ცივს უარს ეუბნება მის თხოვნაზედ. ვერც ჯარების გაგზავნა შეიძლება ამ ჟამად საქართველოშიო და ვერც თქვენი წასვლა მოხერხდებაო, რადგანაც ოსმალეთთან დადებულის ხელშეკრულობის დარღვევად ჩაითვლება ამ გვარი ნაბიჯიო. ჯერჯერობით მოუხერხებელი და უდროვოა საქართველოს საქმეებში ჩარევაო, ამგვარის საქციელით ისედაც ეჭვიანს ოსმალეთს უფრო უარესად გაარისხებთ და ხელახლივააწიოკებინებთ საქართველოსო. რუსეთი უთითებს წინა წლების მაგალითზედ, როდესაც ოსმალეთამდის მიეხწია ხმებს, ვითომ ვახტანგის ძე ბაქარი რუსეთის ჯარებით გამგზავრებულიყო საქართველოში, რის გამოც ოსმალეთმა მაშინვე კაცი გამოგზავნა პეტროგრადში და მოითხოვა განმარტება იმისი, თუ რუსეთმა რად გადადგა ასეთი, ზავის პირობების დამრღვევი ნაბიჯიო.

ვახტანგი ითხოვდა ფარულს შემწეობას მაინც, ეხვეწებოდა ნება მოეცათ ერთ-ერთი შვილის გაგზავნისა მაინც საქართველოში დ თან რამდენიმე ქართველის გაყოლებას და უმტკიცებდა, რომ რუსეთს პირდაპირ სარგებლობის მეტი არაფერი მოელის ქართველთა ამ გვარის საქციელითო. საქმე იმაში იყო, რომ არაგვის ერისთავი, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალეთს არ ექვემდებარებოდა, ატყობინებდა თავისს გაჭირვებას და დასძენდა, რომ მეტი გამკლავება ოსმალებთან აღარ შემიძლიანო და თუ ეს ჩემი სიმაგრენი რომელნიც დარიალის კარსა და რუსეთის კარს იცავს, ოსმალეთს ჩაუვარდა ხელში, მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის მოისპობა, რის გამოც სთხოვდა ვახტანგს საჩქაროდ დახმარებოდა, რისთვისაც უსაკუთრებდა იმ ადგილების სიმაგრეებს. ვახტანგი ამიტომ უთვალისწინებდა რუსეთის მთავრობას თუ რა ძვირფასს რასმეს შეიძენდა რუსეთი, თუ არ დაიშურებდა და მის შვილს ბაქარს მაინც გაჰგზავნიდა მცირედის ჯარებით.

მაგრამ რუსეთი ულმობელია, არც ერთის და არც მეორის ნებას არ აძლევს ბედშავ მეფეს.

ან სად ეცალა მაშინ რუსეთს საქართველოსათვის. სპარსეთში მოულოდნელად ასეთი ამბები დატრიალდა, რომ რუსეთი იძულებული იყო მთელი გულის ყური იქითა ჰქონდა მიქცეული. საქმე იმაში იყო, რომ სპარსეთი, რომელიც მომაკვდავ ადამიანად იყო ცნობილი და რომლის სამკვიდრებელის და თარეშობაში ერთმანეთს ეცილებო-

[1]) იხ. Переписка 173.

[2]) იქვე გვერდი 199.

[3]) Плоди обзор. дип. снош.

[4]) Эзовъ, сношеніе Петра Вел. съ Армянск. нар.

შიძემ წინადადება წარუდგინა, რომ რაიმე ისეთი გასართობი მოეწყოთ, საცა საზოგადოების წევრნი დროგამოშვებით დაისვენებდნენ ხოლმე. შემდეგ კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში, რომელიც უკვე აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში და ბოლოს აირჩია გამგეობის წევრები.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ხარფუხის საზოგადო კლუბის დარბაზში გაიმართება ქართული წარმოდგენა დრამატიული საზოგადოების დასის მიერ „პირველი ბუზი" კომედია 3 მოქმედებად ვ. გუნიასი. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა. დასაწყისი საღამოს 5 საათზედ.

◆ **ნათესი მინდვრები ბორჩალოში.** სოფლებ დიდსა და პატარა გომარეთსა, მამულაანთ სოფელსა, ახარას, ერკუშაანთ სოფელსა, დუშანისა, ვარდისუბანსა, მიჯასა, ყალამსა, ბოსლებში და სხ. შემოდგომაზე ათასგვარ მიზეზთა გამო ძალიან ცოტა მინდვრები დაითესა, მაგრამ რაც დაითესა, იმასაც ანადგურებენ მინდვრის თაგვები, რომელთა გამრავლებას მეტად ხელს უწყობს ასეთი თბილი ამინდი. დროზე თუ არ იქმნა მიღებული მათ წინააღმდეგ შესაფერისი ღონისძიებანი, მომავალ წელშიაც უპუროდ დარჩება ხალხი.

◆ **კრება.** დღეს, 2 ქრისტეშობისთვეს, კრება ექნება იმ კომიტეტს, რომელსაც დავალებული აქვს ჯარისკაცთა ოჯახებზე მზრუნველობა.

◆ **შაქარი.** დღეს, 2 ქრისტეშობისთვეს, ბაქოდან გამოგზავნიან თბილისის ქალაქის თვითმართველობის მიერ ნაყიდ შაქარს.

◆ **დებულება ბინების შესახებ.** ამ ჟამად მეფის ნაცვლის კანცელარია დაჩქარებით ადგენს დებულებას ბინების ქირავება-გაქირავების შესახებ.

◆ **ექიმების მიწვევა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა გაგზავნოს სოფ. ქედას (აჭარა) სამკურნალო პუნქტში ექიმი ქალი და ექიმი კაცი. ორივენი ქართული ენის მცოდნენი უნდა იყვნენ. ექიმ კაცს ჯამაგირი ექნება თვიურად 455 მან. და ბინა, ხოლო ექიმ ქალს მიეცემა თვეში 400 მანეთი და ბინა. წასვლის მსურველებმა თხოვნით უნდა მიმართონ ხსენებულ გამგეობას.

◆ **მასწავლებლები აჭარის სკოლებისათვის.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა ეხლავე შეუდგეს 4 ძირითად სკოლის გახსნას აჭარაში. გამგეობა იწვევს მასწავლებლებს, რომელთაგან თითოს მიეცემა თვეში არა ნაკლებ 100 მანეთისა.

◆ **უდაღო ლორი.** ქალაქის გამგეობის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციამ აღმოაჩინა მესამე საპოლიციო ნაწილში, იარმუკაში, ბ-ნ სარქისოვის სავაჭრო სახლში 10 ყუთი ქალაქის ლაბორანტის მიერ დამღა დაუკვრელ ლორებით სავსე. ბ-ნ სარქისოვზე შესაფერისი ოქმი შეადგინეს, ხოლო ლორები ლაბორანტთან გაგზავნეს შესამოწმებლად.

◆ **საჩაიების საჭიროება.** მომქმედ ჯარებიდან ატყობინებენ ქალაქის გამგეობას, რომ ვანის იქითა მხარეს ძლიერ საჭიროა საჩაიეების გახსნაო.

◆ ბრძოლის ველზე ჭრილობისგან გარდაიცვალა, მე-17 დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკის როტმისტრი **თ. მიქელაძე.**

◆ **გადამდები სენი.** 1 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 148, ხუნაგიანი 33, სახადიანი 25, საოფლიანი 27, მუცელაიანი 3, ყვავილიანი 3 და ხოლერიანი 1 კაცი.

◆ **სურსათი** 30 გიორგობისთვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 79 ვაგ. ხორბალი 2 ვაგ. შეშა 15 ვაგ. ნავთი 11 ვაგ. კვერცხები 211 ფუთი, ბრინჯი 32 ფუთი, კომბოსტო 48 ფუთი, ერბო 11 ფუთი.

◆ **გარდაიცვალა** ქ. პერმში ყოფილი გორის მაზრის უფროსი დ. ი. ბაქრაძე, რომელიც სულით ავათმყოფთა თავშესაფარში იყო მოთავსებული.

◆ **ახალი კლუბის** საკონცერტო დარბაზი უკვე მზადაა სცენა და დეკორაციებიც დამთავრდა. სცენაზე დიდი პიესებიც დაიდგმის. მომავალ წლიდან განზრახულია დღეოფნების(?) გამართვაც: დარბაზში კლუბი დეკემბრის შუა რიცხვში გადადის.

◆ **საქალაქო კომისიამ** 20-ათას მანათის შემწეობის თანხიდან მეომარ ოჯახთათვის გადასცა საუბნო სამზრუნველოებს 6-ათასი მანათი.

◆ **მატარებლის დაგვიანება.** 30 გიორგობისთვეს თბილისში მოვიდა დონის როსტოვიდან საგანგებო მატარებელი და მოიტანა 37 ვაგონი ფქვილი. ეს მატარებელი უნდა მოსულიყო 29 გიორგობისთვეს, დილის 10 საათზე, მაგრამ რაღაც გაუგებარ მიზეზის გამო 21 საათზე მეტი დაიგვიანა გზაში.

◆ **ქალაქის არჩევნები.** მთავრობამ უკვე დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ იმისა, რომ თბილისი 7 საარჩევნო უბნად გაიყოს ხმოსნების ასარჩევად. საარჩევნო სიები დამზადებულია, რომელნიც გამოქვეყნებული იქნებიან. ვინაც რაიმე შეცდომას ჰპოვებს სიებში, გამოქვეყნებიდან 7 დღის განმავლობაში განცხადება უნდა წარადგინოს გამგეობაში და შეცდომას შეასწორებენ. ხელმეორედ დაბეჭდილი სიები გუბერნატორს წარედგინება დასამტკიცებლად და შემდეგ დამტკიცებისა საარჩევნო დღე დაინიშნება. როგორც გამგეობა ფიქრობს, ხმოსნების არჩევნები მომავალ იანვრის მეორე ნახევარში მოხდება.

◆ **გ. ქუჩიშვილი** აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქართველ მოღვაწეთა აგარაკის საკვიტანციო წიგნაკი №№ 701—710.

მპოვნელს სთხოვს გადასცეს, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საქმის მწარმოებელს გ. ჩხეიძეს. (სასამართლოს ქ., 4.)

◆ **სამართლიანი გამოძიება.** ჩვენს გაზეთში აღნიშნული გვქონდა ამას წინად, რომ თბილისის რკინის გზის სადგურში კონდუქტორთა მუშაობის გამაწესრიგებელი („ნარიადჩიკი") ქრთამს ღებულობს კონდუქტორებისაგან და ამის გამო დიდი გინხეთქილება ჩამოვარდა ამ უკანასკნელთა შორისო. ეხლა როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, რკინის გზის მთავრობას გამოძიება დაუნიშნავს, რასაც შედეგად მოჰყოლია ხსენებული გამაწესრიგებლისა და მისი თანაშემწის სამსახურიდან დათხოვნა.

◆ **ცეცხლი.** ყარაიაზში, რკინის გზის სადგურის მახლობლად, ცეცხლი გასჩენია ბ. ჯაფარიძის თივის ზვინებს და 27 ათას ფუთამდე თივა დამწვარა. ზარალი 20.000 მანეთამდეა. თივა არსად ყოფილა დაზღვეული.

---

**ქუთაისი.**

— ვაჭრების თავგასულობას ქუთაისში ბოლო არ ელება. სანოვაგეს მალავენ და ხელოვნურად აძვირებენ, შაქარი სულ აღარ იშოვება. პური გირვანქა 7 კაპიკად იყიდება. საკანდიტროები და სხვა სავაჭროები მეტად ცუდ სანოვაგეს ამზადებენ. მათ შიში აღარ აქვთ რადგანაც ქუთაისში ლაბორატორია აღარ არსებობს, და სანიტარებს საშუალება აღარ აქვთ რომ სანოვაგე შეამოწმებიონ. ლაბორატორია აგერ ორი თვე არის რაც დაიხურა და ქალაქის გამგეობა ყურადღებას კიდევ არ აქცევს.

ქუთაისის სამხედრო „ლაზარეთში" ექიმები მეტად უწესოდ იქცევიან. სამაზრო საკრებულო იქ შესამოწმებლად გზავნის ავადმყოფ ჯარისკაცებს და „ლაზარეთის" ექიმები შეუმოწმებლად ღებულობენ. ხშირი მოვლენა არის, რომ მიღებული ჯარისკაცები სამაზრო საკრებულომ და ხსენებულმა ექიმებმა ხელმეორედ შეამოწმეს და ნამდვილი ავადმყოფები გამოდგნენ. ავადმყოფები ჯარში უსამართლობით ბევრი იგზავნება, რომელნიც წუთისოფელს ეთხოვებიან გზაშივე.

## ქალაქის საბჭო

30 გიორგობისთვე.

კრება ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით მოხდა.

**ხმ. ა. ს. ბაბოვი** (თავმჯდომარეს: რა მდგომარეობაშია საკითხი ქალაქის გამოკვების შესახებ; როგორც დაგვპირდით, სასურსათო კომისია უნდა შემდგარიყო და რა მიზეზია, რომ აქამდისინ არ შედგა?

**მ. ა. ჯაბარი.** სასურსათო კომისია მხოლოდ იმის შემდეგ შესდგება, როცა მეფის ნაცვლის სასახლეში მომხდარ თათბირის ოქმები იქნება ხელმოწერილი და დაბეჭდილიო. შემდეგ ბ-ნმა ჯაბარმა კრებას აუწყა საკვების საქმე. ორატორის ნათქვამიდან როგორც გამოირკვა, გიორგობისთვეში შემოსულა თბილისში სულ 564 ვაგონი ფქვილი, რაიცა თბილისის მცხოვრებთა საჭიროებას დაჰფარავს და კიდევ გადარჩება. მაგრამ ამ რიცხვიდან სხვა და სხვა ქალაქების საჭიროებისათვის გაუტანიათ თბილისიდან 131 ვაგონი. ასე რომ თბილისში დარჩენილა იმაზე ნაკლები ფქვილი, რაიცა საჭირო არის თბილისელთათვის. ზედმეტი ფქვილის მოტანა შეუძლებელი ყოფილა, ამ ხანად მაინც, იმ მიზეზთა გამო, რომელთა საჯაროდ გამოცხადება ორატორმა შეუძლებლად მიიჩნია. ასე რომ ფქვილის სიმცირე თბილისში, ორატორის სიტყვით, აშკარაა და ასეთი სიმცირე პროვინციებისთვისაც აუცილებელია და უფრო საგრძნობელი, რადგან პროვინციები თბილისს სთხოვენ ფქვილს, ხოლო თბილისი კი საკმაოდ ვერ ასრულებს მათ თხოვნას. რაც შეეხება შაქარს, ეს საქონელი, თითქმის აღარ მოიპოვება თბილისში. ბაქოში კი 1,300,000 ფუთი შაქარია გაჩერებული, რომელიც სპარსეთში უნდა გაეტანათ. გამგეობამ განიზრახა ბაქოში შაქარი ეყიდნა. მაგრამ ბაქოდან მოტანილი შაქარი ძვირი დაჯდება—1 ფუთი—3 აბაზით მეტი რუსეთიდან მოტანილ შაქარზე. ამიტომ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ რწმუნებულის წინაშე და სთხოვა შეღავათიანი პირობებით გადმოტანილიყო ბაქოდან შაქარი. მთავარმა რწმუნებულმა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა პეტროგრადს გაგზავნა განსახილველად. იქ კი შუამდგომლობა არ შეიწყნარეს. რათა ქალაქი სავსებით უშაქროდ არ დარჩენილიყო, გამგეობამ ოდესაში იყიდა 45.000 ფუთი შაქარი და მთავარ რწმუნებულს საგანგებო მატარებელი სთხოვა იმის წამოსაღებად. თხოვნაც შეწყნარებულ იქმნა და ნაყიდი შაქარი 7 ქრისტეშობისთვეს გამოვა ადესიდან. სანამ ის შაქარი მოვიდოდეს, დროებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამგეობამ იყიდა ბაქოში რამდენიმე შაქარი, რომელიც, მართალია, ძვირი ჯდება, მაგრამ ეს სიძვირე დროებითი იქნება სანამ ოდესის შაქარი მოგვისწრებს. უფრო მეტი გაჭირვებაა თბილისში ერბოს უქონლობის მხრივ. იმ ადგილებიდან, საცა ერბო ბლომად მზადდება, აკრძალულია ერბოს გამოტანა, ხოლო ადგილობრივი (კავკასიაში დამზადებული) ერბო მოთხოვნილებას ვერ გასწვდება. ქალაქის გამგეობამ თუ როგორმე მოახერხა მცირეოდენი ერბოს შეძენა სადმე, იგი მას სჭირდება ლაზარეთებისათვის, ხოლო მცხოვრებნი როგორმე იოლად უნდა წავიდნენ. კარტოფილი კიდევ მოიპოვება თბილისში, მაგრამ ხახვი თავდება და აღარც საიდანმე შემოდის.

**არ. ბაბოვს** ძალიან აკვირვებს ის გარემოება, რომ მთავარ რწმუნებულმა (მიწადმოქმედების სამინისტროისა, რომელიც, როგორც ვიცით, კანონის ძალით ამ ჟამად განაგებს სურსათ-სანოვაგის საქმეს) პირველ შემთხვევაში არ შეიწყნარა გამგეობის შუამდგომლობა (შესახებ შეღავათიანი ტარიფისა), ხოლო მეორე შუამდგომლობა (ადესიდან შაქრის გადმოზიდვის შესახებ) კი დააკმაყოფილა.

**ბ-ნმა ჯაბარმა** ასეთი პასუხი გასცა ხმოსანს: მთავარი რწმუნებული ერთად-ერთი კაცია, რომელსაც ამ დროებით უნდა მივმართოდ სურსათ-სანოვაგის საკითხის შესახებ, სხვასთან ვერავისთან ვერ მივალთ. პირველ თხოვნაზე თითონ როდი უთქვამს უარი, არამედ პეტროგრადში თქვეს, ხოლო მეორე თხოვნა-კი მან დამოუკიდებლად შეასრულაო.

შემდეგ საბჭო შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

თავმჯდომარემ აუწყა კრებას ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის რაჟიმბეგ ახუნდოვის გარდაცვალება და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისათვის, რაიცა შესრულებულ იქმნა.

შემდეგ თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ მისმა უმაღლესობამ, **მეფის ნაცვალმა, კეთილ ინება ებრძანებინა, რომ საბჭოს დადგენილება შესახებ ქალაქის გაყოფისა შვიდ საარჩევნო უბნად დამტკიცდესო.** ამასვე დასძინა თავმჯდომარემ, რომ საარჩევნო სიები უკვე დამზადებულია, რომელთა შესწორებას და გამოქვეყნებას თვენახევარზე მეტი დრო არ მოუნდება და ხმოსნების არჩევნები შესაძლებელი იქნება იანვრის მეორე ნახევარშიო.

ერთ-ერთ წარსულ კრებაზე ხმ. დოლუხანოვის შეკითხვის გამო, გამგეობის წევრმა **ა. მ. არღუთინსკიმ** კრებას წარმოუდგინა ვრცელი მოხსენება თბილისში ქუნთრუშის გავრცელების შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, წინა წლებთან შედარებით წლეულს მომეტებულად მოუდგამს ფეხი ქუნთრუშს. მომხსენებლის აზრით ეს იმით აიხსნება, რომ ეხლა თბილისში ათასი ჯურის შეუგნებელი ხალხი სცხოვრობს, რომელსაც ჰიგიენისა და მედიცინის არა სწამს-რა და ავადმყოფ ბავშვებს მალავს. ყოველ შემთხვევაში მომხსენებელს იმედი აქვს, რომ სენი ადრე განელდება, რადგან ქალაქის გამგეობამ ამისათვის შესაფერისი ღონისძიებანი მიიღო.

საბჭომ ნება დართო გამგეობას შეიძინოს 3 საგანგებო მანქანა, რომლებიც საჭირონი არიან ნიაღვრების დროს სარდაფებში ჩამდგარ წყლის ამოსაქაჩად. შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება შესახებ იმისა, რომ წარსული წლის ნოემბერში ხელმწიფე იმპერატორის თბილისში ყოფნის აღსანიშნავად ღარიბ მცხოვრებთ ეპატიოთ მათზე დარჩენილი ქალაქის ვალი. ამ საგნის შესახებ თავისი სურვილი წარსულ წელშივე გამოუთქვამს ქალაქის საბჭოს. გამგეობაში 1396 კაცისაგან შემოსულა თხოვნა ვალების პატიების შესახებ, რომელთა საერთო ჯამი უდრის 81.462 მან. გამგეობას, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, განუხილავს ეს თხოვნები და აღმოუჩენია, რომ ბევრი შეძლებული კაციც თხოულობდა ვალის პატიებას. ამის გამო გამგეობას შეუმცირებია მთხოვნელთა რიცხვი და საპატიებელი ვალის საერთო ჯამი 50,000 მანეთამდე დაუყვანია.

საბჭომ უკამათოდ დაავალა გამგეობასვე, რომ გაჭირვებულ მოვალეთ პრაპორციონალურად შეუმსუბუქოს ვალი, მაგრამ ისე, რომ გადადებულ 50.000 მანეთის ფარგლიდან არ გავიდეს.

## ჩვენი უმადურობა

ხშირად ჩემს თავს ვატყუებ.
სიმართლეს განგებ გავურბი.
თვალს ვხუჭავ, ყურს ვიყრუებ.

რა ვქნა, რომ აღარ მინდა ვიცოდე ზოგჯერ ისეთი საქციელი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც გამცირებს და გარცხვენს შენ, როგორც ქართველს.

მართალია, ბევრჯერ კიდეც სცდილობ, გულს იკავებ, გინდა ლმობიერი იყო.

ებრძვი შენს თავს. ეძებ გასამართლებელ მიზეზს.

მაგრამ მაშინ რაღა ვსთქვა, რით დავშოშმინდე, როდესაც ჩვენს უპატივცემულობას და დაუდევრობას ვხედავ.

ისიც ჩვენ წარჩინებულ და სახელოვან მოღვაწეების მიმართ.

შრომობს რომელიმე ქართველი, არაფერს ზოგავს, თავს არ იშურებს, რომ სამშობლო ერს რითიმე არგოს; ჩვენ კი უბრალო ზრდილობაც კი არ შევწევს ასეთ მამულიშვილს ბოლომდისინ პატივი ვცეთ.

რას იტყვის, თავს რით იმართლებს ქუთაისური საზოგადოება, მაგ. ისეთ ადამიანის წინაშე, როგორც ბ. სილოვან ხუნდაძეა.

ვინ არ იცნობს ბ. სილოვანს.

საზოგადო მოღვაწე, ფხიზელი დარაჯი ქართულ ენისა და საგანგებო მასწავლებელი.

მუშაკი მუყაითი, გულშემატკივარი, პირში მთქმელი, გაბედული, მოურიდებელი.

სპეტაკი პიროვნება, ნამდვილი ვაჟი, უკიდურესი ჯენტლმენი.

გახსოვთ მისი შეტაკება ბ. კორიცკისთან?

ხომ იცით ვინ არის ეს ვაჟბატონი?

მოიგონეთ ამ უკანასკნელის უპატიოსნო საქციელი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომელიც მთავრობის მიერ გამოცდის დროს კომისიის თავმჯდომარედ იყო დანიშნული.

განა ენა იტყვის, რა საზიზღარ საშუალებებს არ მიმართა ამ პირმა, რომ ჩვენი ახალგაზდობისათვის უმაღლესი სასწავლებლის კარი დაეხშო?!

კორიცკის ჰსურდა გიმნაზიის დამცირება.

კორიცკი განგებ სცდილობდა შეგირდები ჩაეჭრა.

კორიცკის ვსძულდით, ვეზიზღებოდით და ფეხს მიტომ გვაჭერდა.

კორიცკის ჰსურდა ჩვენი მოსპობა.

მოითმენდა განა ამას სილოვან? რა ბრძანებაა! ქართველმა მასწავლებელმა ქართულ სასწავლებელში ვერ ჟიტანა კორიცკის შეურაცხყოფა.

ბ. სილოვანმა საჯაროთ პირში დაჰგმო მისი საქციელი, გამოუცხადა ზიზღი, როგორც პიროვნებას და მის გამოშვერილ ხელს ზურგი შეაქცია.

ბ. ხუნდაძემ კარგად იცოდა რითი გათავდება ეს საქმე.

მთავრობამ დასაჯა, ადგილებიდან განდევნა როგორც კორიცკი, ისევე ბ. სილოვანი.

თავი დაანებებინეს იმ სასწავლებელს, სადაც ოცდა ათი წელიწადი დაუღალავად შრომობდა და ზრდიდა ქართველ ახალგაზდობას.

ახლა სცხოვრობს ქუთაისში ბ. სილოვანი მარტო, ყველასაგან მიტოვებული.

არსადა სჩანს. არავის აგონდება. თვალსაჩინო ადამიანი, ჭკვიანი მუშაკი, შრომის მოსურნე საზოგადოების გარეშე დარჩა.

არ გამოჩნდა ქუთაისში არც ერთი ადამიანი, რომ ხმა ამოეღო ბ. სილოვანზე. ვერ იქნა ვერავინ იფიქრა, რომ სირცხვილია, უმადურობაა ასეთი კაცის მივიწყება.

მერე ისიც იქ, სადაც უმეტესი ნაწილი ქართველ საზოგადოებისა ბ-ნ ხუნდაძის ნამოღვაწარნი არიან.

მაშ, რატომ არ სცდილობენ, რომ ამ პატივცემულ მამულიშვილს რაიმე ალაგი უშოვნონ, დააბინავონ და საშუალება მისცენ თავის უკანასკნელი დღენი კვლავ საზოგადო საქმეს შესწიროს.

ან რას ჰფიქრობს სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაცია?

ნუ-თუ ასე მალე გულიდან ამოიღეს თავიანთი საგულისხმო ამხანაგი?

**ჯუანშერ.**

## რას მოელის კავკასია

რას მოელის [კავკასია?] ... ძალიან ბევრს, თუმცა ... სადღეისო-ბას ადვილასავის(?) წარმოადგენს, თუ რამდენად გამწვავდა ეროვნული დამოკიდებულება, რა სამწუხარო შედეგს უქადის იგი ამ კუთხეს. ადვილასავის(?) დაფარული არ არის, რომ გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ამ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მხოლოდ ერთს ეროვნულ რეჟიმს(?) ემყარებოდა. ეროვნულ უთანხმოების ალიკების(?) და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა შეუძლებელია,—მეტის-მეტად ღრმად არი დამარხული ამ უთანხმოების ისტორიული ნიადაგი, მაგრამ მისი სიმწვავის დაცხრობა კი შესაძლოა, შესაძლებელია ერთგვარი შეთანხმება; ყოველ შემთხვევაში საჭიროა არა გარემავება(?) და ხელოვნურად გართულება ირგისა(?). ვინ უარჰყოფს, რომ ეს საქმე ადვილი არ არის, პირიქით, საქმე მეტად რთულია, რადგანაც ეროვნულ დამოკიდებულების საკითხი ჩახლართულია მრავალნაირი საზოგადოებრივი, ეკონომიური და სხვა კავშირით. დიდი წინდახედულობა, განსაკუთრებული გულისყური და კეთილმოფიქრებულობა საჭიროა, რომ სიწყნარე და მშვიდობა შეიტანონ ამ აფორიაქებულ(?) ცხოვრებაში. ამ წრეში მხოლოდ მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ იქნება შესაძლებელი კულტურული მუშაობა.

კავკასიას ესაჭიროება საერობო თვითმართველობა. აუარებელ, ულეველ ბუნებრივ სიმდიდრით არსავსე მხარე სილატაკეში, უციცობაში იხრჩობა, რადგანაც კანცელარიიდან

შეუძლებელია ცოცხალი საქმის ხელმძღვანელობა. კავკასიის მკვიდრნი, რომელნიც უყოყმანოდ(?) ისტუმრებენ შვილებს ბრძოლის ველზე, სადაც რუსეთის დიდ მერმისისათვის თავსა სწირავენ. მშვიდმა მოსახლეობამ საკმაო ძალა და უნარი გამოიჩინა სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებაში; მას სრულებითაც არა სჭირდება მოხელის მზრუნველობა; იგი მოითხოვს თვითმოქმედებას, თვითმართველობას. ამ ცოტა ხნის წინედ, სახელმწიფოს ძირითად კანონთა 87-დე მუხლის ძალით კავკასიაში სოფლის მართვა-გამგეობის რეფორმა მოახდინეს. გრ. ვორონცოვ-დაშკოვი ამ საქმის თაობაზე გუბერნატორების მიმართ დაგზავნილ განკარგულებაში სწერდა, ეს არის საერობო თვითმართველობის შემმზადებელი საშუალებაო.

რა საჭიროა ასეთი პალატიური ზომები, როდესაც ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს საკითხის დაუყონებლივ გადაჭრას არსებითად.

კავკასია თხოულობს ნაფიც ვექილთა სასამართლოს—ამ ხალხის სინიდისის სასამართლოს. მოხელეთა სასამართლო შეუწყნარებელია, რადგანაც ყველას ერთის საზომით ჰზომავს. კავკასიაში ხომ ძარცვა-გლეჯაა, კერძო საკუთრებისა. ეს იმას კი არ მიეწერება, ვითომც მკვიდრნი პირადებით ავაზაკნი იყვნენ. ხალხი გაუნათლებელია, ღატაკი, მათი გონებრივი საკუთრების საქმე მოუწესრიგებელია, არ არის უზრუნველყოფილი მტკიცე კანონით (ეს ასი წლის მართვა-გამგეობის შემდეგ). მკვიდრთა მიმართ არ არის დამყარებული კეთილი განწყობილება, მას გაუგებარის ენით ელაპარაკებიან, ასეთს პირობებში აღზრდილ ხალხს არ შეუძლიან კანონიერების დაცვა, მისი პატივისცემა. მიეცით ამისი საშუალება.

ამ კუთხის მრავალმილიონიანი ხალხი უმაღლეს სასწავლებელს თხოულობს, რომლის წყალობითაც ახალგაზრდობა შესძლებს დაფარულ ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენებას.

აუცილებლად საჭიროა აგრეთვე პატივისცემით ეპყრობოდნენ ადგილობრივ ენასა და ადათ-ჩვეულებას. ეროვნულ წმინდათა წმინდის შელახვა არ შეიძლება.

სწორედ 50 წლის წინად გააუქმეს ამიერ-კავკასიაში ბატონ-ყმობა. მაგრამ ამ დიად რეფორმის ბევრი დებულება როდი განახორციელეს ამიერ-კავკასიაში. არ იყო შემოღებული ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა. მხოლოდ 1912 წ. 12 ქრისტეშობისთვის კანონით შესაძლებლად აღიარეს გლეხთა დროებით ვალდებულობის გაუქმება, მთავრობის სესხის შემწეობით, მაგრამ ეს საქმეც ძალიან ზანტად სწარმოებს, ისე რომ რეფორმის აზრი და მიზანი განუხორციელებელი რჩება.

კავკასიაში ადამიანს თვალში ეცემა მიწის სიმცირე, საიჯარო ფასი გაორკეცებულია, ძველისძველ მიწის დამმუშავებელ ხალხს გასაქანი არა აქვს, ამავე დროს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შავი ზღვის სანაპიროებზე

---

დნენ რუსეთი, ოსმალეთი და ავღანნი და ვინ-ვის დაასწრებდნენ აღარ იცოდნენ. უცებ გამოფხიზლდა, თვალები ხარბად გაახილა, თითქოს ახლი სისხლ-ხორცი შეისხა და მკაცრი იერიში მიიტანა იმათზედ ვინც სულთათანას უმღერდა: ეს სპარსეთის სულის ჩამდგმელი იყო, ვინმე თარაქამელი ნადირი, შემდეგ ძლევა-მოსილი ნიდირშაჰი, სრულიად სპარსეთისა. აი ამ ნადირმა ჯერ კიდევ სრულიად უბრალო სარდალმა დაამსხვრია ავღანთა ძლიერება და შემდეგ ოსმალეთზედ მიიტანა იერიში. თითქმის ყველგან გამრჯვებული გამოვიდა და ოსმალთა ძლიერებას ამსხვრევდა ერთიერთმანეთზედ.

ადვილად შესაძლებელი იყო და მოსალოდნელი, რომ შემდეგ ნადირი რუსეთისაკენაც მოიქნევდა თავისს მახვილს და რუსეთი მეტად დიდს გაჭირვებაში ჩავარდებოდა, რადგანაც სადღაც ცხრა მთის იქით გადაკარგული გილანი, მაზანდარა და სხვანი მეტის მეტად დაშორებულნი იყვნენ თავიანთს მეტროპოლიას და სხვა არა იყოს რა სურსათისა და ჯარების ზიდვა გააჭირებდა საქმეს. იმდენად საძნელო იყო გზათა სიშორისა გამო ამ გადაკარგულის ქვეყნების მოვლა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სრული 13 წელიწადი მიდიოდა რაც რუსეთს შეეძინა ეს ადგილები, გარდა გილანისა, რუსეთი ჯერ არც ასტარაბადში არც მაზანდარაში არ შესულიყო. გარდა ამისა ხალხი მეტის-მეტად მტრულად უცქეროდა რუსეთს, რეშტთან რუსეთის მხედრობას თითქმის დღე მუდამ შეტაკება მოსდიოდა სპარსთა პატარ-პატარა რაზმებთან. ხარჯების და სხვა გადასახადთა შეკრება ხომ მეტის მეტად ძნელი იყო და უხერხული. ყველა ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჰავაც მეტად მკაცრი და ულმობელი გამოდგა რუსეთის მხედრობისათვის და ყოველწლივ აუარებელი მსხვერპლი მიჰქონდა.

ყოველივე ამის გამო რუსეთმა გადასწყვიტა ნებაყოფლობით გასცლოდა ამ ადგილებს, მაგრამ ისე კი რომ რუსეთისათვის საპატიო პირობებში მომხდარიყო ეს გაცლა. ამის გამო ახლად ტახტზედ ასული იმპერატრიცა ანნა სურვილს გამოსთქვამს ამ ადგილების სპარსეთისათვის დაბრუნების გამო. იანვრის 21 დღეს 1732 წელს ქალ. რეშტში მომხდარ ტრაქტატით რუსეთი უბრუნებს მაზანდარას, ასტარას, გილანს და სხვათა ადგილებს თვინიერ მტკვრამდის, ხოლო დანარჩენს ადგილებს ბაქო-დარუბანდით, თითონ ინარჩუნებს და სამაგიეროდ რუსეთისათვის სასარგებლო ხელშეკრულობასა სდებს, რომლის ძალითაც რუსეთის მოვაჭრენი სპარსეთში თავისუფლდებოდნენ ყოველივე ბაჟისა და სხვა რამ გადასახადისაგან. საყურადღებოა ამ იძულებითი ხელშეკრულებაში ჩვენთვის მერვე მუხლი, რომელიც საქართველოს შეეხება: „ვინაიდგან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის და შაჰის ბრწყინვალების ერთგული მეფე ვახტანგი განძევებული არის საკუთარ სამეფოდგან, ოღესაც საქართველო სპარსეთის საპრატექტორატოში მოექცევა ძველებურად, შაჰი აღთქმასა სდებს ვახტანგს დაუბრუნოს თავისი სამფლობელო და აღადგინოს იგი თავისს უფლებებში" *).

**ზ. ედილი.**

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. Бутковъ გვ. 113.

გადმოსახლებულთ აბინავებენ პოლიტიკური მოსაზრებით.

მსოფლიო ომმა საძირკვლიანად შეარყია კავკასიის მეურნეობა. სოფელს მუშა ხელი გამოეცალა, მოხნულ-მოთესილის რაოდენობა შემცირდა და, წელს გაზაფხულზე ბუნებრივმა წყალდიდობამ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ცარიელზე დასვა სოფლის მეურნენი, ქალაქებში, მომხმარებელთა შეუკავშირებლობის გამო, საშინელი სიძვირეა.

საერობო დაწესებულებათა და თვითმართველობის უქონლობით მკვიდრნი არიან მიტოვებულნი, საჭიროა ფართედ მოწყობა სასურსათო საქმისა და ომში დასახიჩრებულ მეომართა მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

ბევრის მოლოდინშია კავკასია. იგი მოითხოვს ელემენტარულს, აუცილებელს, ყოველს იმას, რაც კი შიდა გუბერნიებში დიდი ხანია მინიჭებული აქვთ. კავკასიას უფლება აქვს არამც თუ ითხოვოს, არამედ მოითხოვოს კიდეც თავისი საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების გონიერი მოწესრიგება. („დენ.“)

**ს. ავალიანი.**

## ომი და მეურნეობა

„Daily Tems“-ში მოთავსებულია საგულისხმიერო წერილი რომელიც ეხება ინგლისის თანამედროვე ხალხის მდგომარეობას.

ავტორი ამ წერილისა პირველ ყოვლისა აღნიშნავს, თუ რაოდენად მტკნარი სიცრუე გამოდგა ის წინასწარმეტყველება, რაიც დაკავშირებულ იყო მსოფლიო ომთან. გერმანელების გეგმით, გერმანელთა არმია ორის კვირის განმავლობაში პარიზში უნდა შესულიყო. გაზეთ ტაიმსის გამოანგარიშებით რუსეთის ჯარი 1914 წლის ღვინობისთვეს ბერლინში უნდა შესულიყო. ამნაირივე სისწორით ეკონომისტების წინასწარმეტყველება გამართლდა. ომის დაწყებისთანავე ინგლისში შესდგა უალსელ ბატონიშვილის ფონდი, რომლითაც ომისაგან გამოწვეულ ხალხის გაჭირვებისათვის უნდა ეშველნათ. მაგრამ გამოვიდა სულ წინააღმდეგი. მთლად მდაბიო ხალხი და განსაკუთრებით მუშა სხვა დროს ისე კარგს პირობებში არაოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს ომიანობის დროს არის.

მუშა ხალხი თითქოს ზღაპრულ სახელმწიფოში სცხოვრობდეს—მოისპო უმუშევრობა და თითქმის რომ ერთი მუშა ხელი ორნაირ საქმეს ასრულებს. ამნაირად, არა თუ უმუშევრობამ იჩინა თავი, პირ იქით მუშა ხელის სიმცირე დადგა. ქალები ყოველგან თავის შესაფერ ადგილს შოულობენ. მოსამსახურე ქალის შოვნა ისე ძნელი შეიქნა, რომ ინგლისელები ავსტრიელების მსგავსად იძულებულნი შეიქმნენ თავიანთ თავს ემსახურონ. იმ პროლეტარმა, რომელიც საომარ მასალათა ქარხანაში მუშაობს, საკუთარი ავტომობილი შეიძინა და ქარხანაში სამუშაოდ თუ სხვაგან სასეირნოდ მითი დაიარება.

საფუფუნო და განცხრომის საგანთა მოთხოვნილებამ მეტად იმატა.

მაგრამ ასეთი სანეტარო მდგომარეობა წამიერია. ეს იმას ჰგავს, რომ სახლს ცეცხლი ეკიდებოდეს და ცეცხლში მოტანებულ შემწვარ გოჭს შეექცეოდეს. მართალია ერთის დღით გამოძლება, მაგრამ შემდეგ რა დარჩება?—ჩაფერფლილი კერა და გოჭის ძვლები! ასე ჰხდება მთელს სახელმწიფოშიაც.

მოიპოვებიან უცნაური ეკონომისტებიო—ამბობს წერილის ავტორი—რომელნიც ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო გადასახადის გადიდებამ არავინ არ უნდა შეაშფოთოსო, რადგან რასაც გადასახადის სახით იხდით, იგი რენტის სახითვე უკან გიბრუნდებათ, მაგრამ რას იტყვიან იგივე ეკონომისტები როცა იძლევიან ოთხნახევარ პროცენტიან რენტას და ახდევინებენ 5, 10 და 15 შილინგს გირვანქა სტერლინგზე?

ინგლისს ომი დღიურად უჯდება 5 მილიონი. გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი თუმანს უდრის) აქედან ერთი მილიონი იფარება გადასახადით და 4 მილინი დაუფარავი, წელიწადში 1400 მილიონი გირ. სტერლინგი. ეს ჯამი უნდა სესხით ადგეს. სახელმწიფო ვალი ინგლისისა ამ ჟამად ისედაც 2,000 მილიონი გირ. სტერლინგია. 1916 წელს პირველ აპრილამდე შესდგება 3,000 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ამ წლიდან ინგლისმა ყოველ წლივ 150 მილიონი გირვანქა სტერლინგი პროცენტი უნდა იხადოს ჩვეულებრივი ბიუჯეტი ინგლისისა 200 მილიონი გირვანქაა. პროცენტებით 350 მილიონამდე ავა. თუ ამას რომ მივუმტოთ წლიურად 25 მილიონი სამხედრო პირთა პენსია ბიუჯეტი, შესდგება 400 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ინგლისს კი სულ აქვს ყოველ წლიურად 350 მილიონი გირ. სტერლინგი.

წერილის ავტორი განაგრძობს: ამ ციფრების აღნიშვნით მე არ მოვითხოვ ზავის ჩამოგდებას. დაე იყოს ასეთი დიდი ზარალი, თუნდ შიშვლები დავრჩეთ, მაინც უნდა ომი განვაგრძოთო.

## მყუდროება გრძელდება

**წერილი კ. კიროვისა.**

მყუდროება კვლავ გრძელდება. არც რუსეთის და არც საფრანგეთის ფრონტზე რამდენიმე ხანია დიდი ბრძოლა არ მომხდარა, რის გამოც შეუძლებლად ხდება კაცმა გაიგოს, თუ რას წადიან მოწინააღმდეგეს.

ამ ჟამად ყველას ყურადღება ბალკანეთის კუნძულსა და „ნეიტრალ“ რუმინეთზეა მიპყრობილი, საიდანაც ყოველი ადამიანი გადამწყვეტ „სიტყვას“ და გადამწყვეტ „მოქმედებას“ ელის.

მაგრამ მართალია თუ არა, რომ რუმინეთის ჩარევით ბალკანეთზე გადასწყდება დიად ბრძოლის ბედ-იღბალი?

რა მოხდება მაშინ, თუ გერმანეთმა სერბეთზე თვალის ახხვევად გაილაშქრა, რუსეთს და სხვა მოკავშირეთ ყურადღება მიაქცევინა და თვით კი ემზადება სხვა მხარეს საბრძოლველად? მაგრამ თუ ემზადება—რა მხარისთვის ემზადება?

ბულგარეთის მიმხრობა ფრიად სასარგებლო იყო გერმანეთისთვის და მსოფლიო სისწორის ჯამს ერთი სიმძიმე მიემატა, მაგრამ რუმინეთი რომ მოკავშირეებს მიემხრო, უფრო დიდი სიმძიმე იქმნება და სწორედ მეტად გადმოიხრება.

მაგრამ განა გერმანეთი ამას მოაქმედებინებს? და თუ ვერ მოახერხა წინაალუდგეს, რა უნდა ჰქმნას გერმანეთმა?

მარტო გავლენა არაფერს უშველის. რეალ პოლიტიკაში „ძლიერი მუშტი“ სწყვეტს ყოველივეს. და რომ ამ მუშტმა რაიმე გავლენა მოახდინოს რუმინეთზე, მისი სიმძიმე კიდეც უნდა იგრძნოს რუმინეთმა.

ამიტომ ავსტრო უნგრეთის აქტიურმა მოქმედებამ სადმე რუმინეთის ახლო-მახლო უნდა იჩინოს თავი.

ბალკანეთსა და ბულგარეთში ამ მიზანს ვერ მიახწევენ. გვგონია, რომ ასეთი სამოქმედო ადგილი რუსეთის ფრონტის სამხრეთი ადგილია. (გალიცია-ბუკოვინის მხარე).

საკითხავია: ხომ არ შეიქმნება ეს მხარე ბრძოლის ასპარეზად და ავსტრო-გერმანელები ამ მხარეს ხომ არ მოაწვებიან და აქეთ ხომ არ გადაჰყავთ კორპუსები და დივიზიები?

ეს თუ ასეა, მაშინ რიგის და დვინის რაიონში მზადება რაღას ჰნიშნავს? ხომ არ შეუძლიანთ გერმანელებს ყველგან და ყოველის მხრიდან იერიში მოიტანონ?

რიგის და დვინის მიმართულებით პეტროგრადზე გასალაშქრებლად მეტად მოკლე გზაა, მაგრამ აქ ამ საქმის მოგვარება მეტად ძნელი და რთულია.

განა შესძლებენ კი რომ დღევანდელ პირობებში გერმანელებმა რუმინეთს გვერდი აუხვიონ?.

თუ ვერ შესძლებენ, მაშ რა უნდა შესძლოს გერმანეთმა.

ამ რიგად მყუდროებაა საფრანგეთის და რუსეთის მთელს ფრონტზე, მაგრამ მყუდროება არ უნდა იყოს გერმანელების ბანაკში. რაღაც დიადისთვის ემზადებიან და იქმნებ მათი მზადებაც უკვე დასრულებულიც არის. უეჭველია, რაღაც დიდს ამბებს უნდა მოველოდეთ (რუს. ვედ.).

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

ქუთაისში „ზინგერი“-ს ფირმის საკერავ მანქანების მაღაზიები უკვე გაიხსნა მთავრობის ახალ განკარგულებით. მაღაზიების შემოსავალი გადაიდება „წითელ ჯვრის“ სასარგებლოდ.

**სოფ. ნიგოითი** (გურია).

გუბერნატორმა ნება დართო ს. ნიგოითის მცხოვრებთ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „საშუალება“.

**სოფ. ვანი** (იმერეთი).

ვანის მცხოვრებლებმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ დაარსონ კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოება „რიჟრაჟი“.

**ს. ოკუმი.**

ამ მოკლე ხანში გაიხსნება კოოპერატივის მომხმარებელი ამხანაგობა „წარმატება“.

**ს. თერჯოლა** (ზემო იმერეთი)

თერჯოლის მცხოვრებთ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზოგადოება: „თერჯოლის მომხ. საზოგადოება“.

**სოფ. ლესა** (გურია).

გაიხსნა მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“.

**სოფ. ილორი** (სამეგრელო).

დაარსდა საურთიერთო დახმარების „საზ. ურთიერთ დახმარება.“

**სოფ. ოზაანი** (ქიზიყი).

სანდრო ოზაშვილმა თოფით მოჰკლა თავის სახლისკაცის მეუღლე მარო ოზაშვილი.

**სიღნაღი.**

სიღნაღისკენ მიმავალ მეურმეთ გზაში ერთმანეთ შორის ჩხუბი მოუვიდათ; ჩხუბის დროს მოჰკლეს ხარიტ. კიკალაშვილი, დასჭრეს ჩიტინაშვილი, ლამაზაშვილი და იაშვილი.

**ხოგის ჭალა** (კახეთი).

გზად მიმავალმა თუშმა ბეთეკაურმა მოჰკლა ორი მგზავრი, ბუცო დაიური და ხვთისო ზვიადური. მკვლელი შეიპყრეს.

**რუისი** (ქართლი).

ადგილობრივ მცხოვრებთ სვ. მღებრიშვილს ⁊ გრ. ეგნატაშვილს მამულისა გამო ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც მღებრიშვილმა ცულით მოჰკლა ეგნატაშვილი.

**ქ. ერევანი.**

ამ მოკლე ხანში აქ არსდება ბამბის მწარმოებელ მრეწველთა კომიტეტი.

**დახმარება მაჰმადიან გამოქცეულთ.**

ყარს-არდაგან-ოლთისის მხარეს წასულ ომიანობისგან დაზარალებულ მაჰმადიანთა დამხმარე რაზმი დეპეშით იტყობინება, რომ მცხოვრებთათვის საჭიროა კიდევ 5,000 ფუთი ფქვილი და თბილი საზამთრო ტანსაცმელი. ერევნის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზ. თავმჯდომარეს ალიევს გუბერნატორმა ნება დართო ერევანში გამართოს „საჩაიე“ რომლის შემოსავალიც მოხმარდება გამოქცეულ მაჰმადიანთა ოჯახებს.

**განჯა.**

ქალაქში პური საკმაოდ აღარ შემოდის, პურის ნაკლებობამ უკვე იჩინა თავი, პირველი და მეორე ხარისხის პური სრულებით აღარ ცხვება.

**შუშა.**

ეს მესამე დღეა შუშაში პურს აცხობენ, მეფურნენი აცხადებენ, არ რომ ფქვილი გაუთავდათ, მხოლოდ ქალაქის გამგეობის რწმუნებით ჯერ ფქვილი კიდევ კარგა ხნის სამყოფია თუ სადმე გამოაცხობენ პურს მეტად მჟავეა და საჭმელად უვარგისი.

**ფ ო თ ი**

ამინდები გვარიანია, ზღვაზე სიწყნარეა. მიუხედავად იმისა, რომ ფოთს საკმაოდ აქვს სურსასთ-სანოვაგე, ვაჭრები მაინც დღე დღეზე აძვირებენ პურს, საქმე ის არის, რომ ქალაქის გამგეობამ დღემდის მათ ასალაგმავად საჭირო ნიხრი ვერ შეიმუშავა.

**ჭ ი ა თ უ რ ა**

**გერმანელთა მიჩათ მფლობელობის ლიკვიდაცია.**

გუშინდელ ქრონიკაში მოვიხსენიეთ. რომ ამას წინად ჭიათურაში შეიპყრეს და ციხეში გაჰგზავნეს ინჟენერი ბ. ა. პაპავა. ბ-ნი პაპავა გერმანელთა ღილზენქირჰენის სამთო ქარხნების დირექტორად იყო.

ეხლა როგორც გავიგეთ ამჟამად ღილზენქირჰენის გერმანელთა მფლობელობას ლიკვიდაციას უშვრებიან.

## დაბა-სოფლები

**დ. სურამი.** ეს ზაფხულობით განთქმული სააგარაკო დაბა, ზამთრობით ჭუჭყში და ლაფში იხრჩვება. საკმარისია პატარა ავდარი, რომ გათქეფილი ლაფი მუხლებამდე აღწევდეს. ხოლო თუ წვიმამ ან თოვლმა ხანგრძლივ გასტანა მაშინ მთელი სურამი მდორე ტბებად და გუბეებად არის გადაქცეული. მაგრამ სურამელს ეს სიბინძურე ისევე არ აღშფოთებს, როგორც თევზს ანკარა წყალი.

სურამის ეგრედ წოდებული მთავარი ქუჩა, მდაბიო ენით რომ ვსთქვათ, ერთგვარ უწმინდურობის დიდ არხს წარმოადგენს, რომლის ზედა პირზე მოტივტივებულია მთელი ბაზრის ჭუჭყი და ნაგავი. ამ საარაკო ქუჩების ერთად-ერთ სანიტარებად აქაური ღორები თუ ითვლებიან, რომელნიც თავიანთ ბუნებით უნებლიედ სურამის ჰიგიენას ემსახურებიან...

მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელია სურამის ქუჩებში დღისით მოგზაურობა, ხოლო ღამე კი ამგვარი განზრახვა თავდედობად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ადამიანი დარწმუნებული არ არის, რომ ამ ბნელ უკუნეთით მოცულ ქუჩებს უვნებლად თავი დაახწიოს. ოდესღაც სურამს ელექტრონი ჰქონია, მაგრამ თუ სხვაგან მისი შემოღებით სინათლე და შუქი მოჰფენიათ, სურამი ამითი უარეს სიბნელეში არის ჩავარდნილი. ახირებული სურამის „გამნათებელი“ გუნცაძე თითქოს სულ საწინააღმდეგო მისიით მოსულა, რათა მთლად სამუდამოდ შეაძავოს მკვიდრთ ელექტრონის სინათლე. ეს ოთხი ხუთი თვეა რაც იგი ბოროტად სარგებლობს სურამელების საზოგადოებრივ სიზანტით. მისთვის აღარ არსებობს აღარც ხელშეკრულობა აღარც უბრალო მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ვაჭრების უზომო სიმსუნაგეს ხომ საზღვარი აღარ აქვს. სიტყვა „ნიხრი“ აქ ჩინურ სიტყვად მიაჩნიად. ბურთი და მოედანი მათ ხელშია.

ამის შემდეგ იბადება საკითხი არსებობს თუ არა რაიმე პასუხის მგებლობა საქალაქო საქმეებში და თუ არ არსებობს მაშასადამე მთელი საზოგადოება საწველ ფურად გადაქცეულა, რამდენიმე გამოქნილ ვაჟბატონთა ხელში.

თუ რომ ბევრი არა მოეთხოვებარა სურამის საშუალო მკვიდრს, რას აკეთებს მაშინ აქაური ეგრედ წოდებული ინტელიგენცია: ექიმ-ვექილები, მოსამართლე, მასწავლებლები და სხვები, რომელნიც თვითონაც ამ აღვირ-აშვებულობის მსხვერპლი ხდებიან. ამ პირთა შეთანხმებული მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანდა ამ ყოველმხრივ უპატრონოდ მიგდებულ დაბას.

ასეთი უნუგეშოა სურამის მუნიციპალური საქმიანობა მაგრამ არა ნაკლებ აღმაშფოთებელია სურამი თავის დანარჩენ საზოგადო საქმეებში.

გარეგნობით თითქოს აქ არსებობს წვრილი კრედიტიც, ბიბლიოთეკასამკითხველოც ⁊ დრამატიული წრეც, მაგრამ ყველა ეს კულტურული დაწესებულება ანტიკულტურულ სახეს იღებს, წვრილი კრედიტი უფრო სხვილ ხალხს ემსახურება, გაჭირვებულ გლეხს-კი მის არსებობით არც სცივა და არც სთბილა.

სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები ერთ ვაჭრის მაღაზიაში მოდის, თვით ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სადგომი კი კარგა ხანია თაგვების სათარეშოდ გამხდარა. ეს ორი დაწესებულება თითქოს რევიზიასაც კი მიუვიწყებია...

ეხლა არსდება ქართველ ქალთა საზოგადოება. რამდენად ნაყოფიერი იქნება ამ საზოგადოების საქმიანობა ჯერ არაფერი ითქმის, მხოლოდ ვშიშობ, რომ მისი დაარსება უბრალო მანიით არ იყოს გამოწვეული, რადგანაც წარსული და აწმყო გვიმტკიცებს რომ სურამი და საქმიანობა ეს ორი სულ სხვა და სხვა ერთი მეორეს მომსპობი მცნებაა.

**აქ მყოფი.**

**სოფ. დიდი ჯიხაიში**

ამ რამდენიმე ხნის წინად დიდ-ჯიხაიშში ჩამოვიდა ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორი, რომელმაც ხალხის გაჭირვების და წრევანდელ მოუსავლობის გამორკვევა და გაცნობა ისურვა.

ამავე მიზნით ამას წინად ადგილობრივმა მამასახლისმა ხალხი შეჰყარა და მის საჭიროებათა შესახებ ზოგიერთა ცნობები შეადგინა. სოფელში ცნობებს ერთობ ხშირ-ხშირად ჰკრებენ, მაგრამ სამწუხაროდ დაპირებულ დახმარების განხორციელება არსად სჩანს. ადგილობრივ ბაზარზე ჩარჩვაჭრების თავგასულობას საზღვარი არ აქვს, სოფელი მათთვის ხომ თავისუფალი სათარეშო მოედანია, როგორც ჰსურთ ისე მოქმედებენ და ისედაც გაჭირვებულ ხალხს ტყავს აძრობენ, ამას წინად ერთ ვაჭართან მივიდა დედაკაცი, რომელსაც ავადმყოფისთვის შაქარი ეჭირვებოდა, ვაჭარმა შაქარი გირვანქა ორ აბაზად დაუფასა. პურს ბაზარში სრულებით აღარ აცხობენ. ქსენონ-აფთიაქის საქმეც ვერ არის მოწესრიგებული. იქ მუდამ დიდი აურ-ზაური და შეხლა-შემოხლაა. სხვა და სხვა გვარი ავადმყოფობა მთელს სოფელს მოედო. ხალხის მოთხოვნილებას ვერ აუდის ერთი ექიმ ფერშალი.

## თეატრი და ხელოვნება

ესიკოვის ცირკი არ გამოდგა სცენისათვის ხელსაყრელ შენობად. ყოველ შემთხვევაში „მეფე ედიპეს“ დასადგმელად ხელი ისე ვერ შეეწყო რეჟისორს, რომ ანტიურ ხელოვნების დასამშვენებელი პრესპექტივები გამოეტანა.

მსახიობთა შესახებ ქების მეტი არა ითქმის რა. საოცარია, იქ, სადაც „რედიმენტული“ პსიხოლოგიაა საჭირო, ჩვენი მსახიობნი თითქმის ყოველთვის იმარჯვებდენ. მეფე ედიპე, მაგალითად, ბ-ნმა იმედაშვილმა თითქმის ხორც შესხმული ჰყო. ამ ახალგაზრდა მსახიობის თამაში მხატვრულ მეტყველებათა სურათებით აღიბეჭდა. კეთილშობილური პლასტიკა, რაოდენადმე სკულპტურული გრაცია, შესაფერი ჟესტი და მიმიკა საინტერესო შთაბეჭდილების ბურუსში ახვევს ადამიანს. სვებედ მორჭმული ედიპე უბედურებამდე და განადგურებული, პსიხოლოგიურ კატასტროფის შემდეგ, როგორც ბედის მიერ აბუჩად აგდებული, იმედაშვილის ზომიერ თამაშით სასურველ სიმაღლეს აღწევდა.

უბადლო ტირეზი დაგვიხატა ბ-ნმა არადელ-იშხნელმა. მისი ძლიერი, ფრიად მდიდრული ხმა, მისტიურ ელფერით შეზავებული მეტყველება ნამდვილ ანტიურ დროის მიზნის სურათს გირდგენდათ თვალ წინ.

მშვენიერი, ფატალურ განწირულების მსხვერპლის სურათი მოგვცა ქ-ნმა ა. ქიქოძის ასულმა იკასტოს განხორციელებით.

ელეგანტობის სიჭარბე როგორადაც თვალში ეცემოდა ბ-ნ დ. მგალობლიშვილის კრეონის მეტყველებაში. რაც უნდა იყოს, კრეონი იმ ხანის შვილი გახლდა, როდესაც მეფენი და მათი მწყემსები ერთად ინაწილებდნენ სუფრას, საჭირო იყო ნაზ ფერადების შემცირება.

საზოგადოდ პიესამ მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა. აუარებელი დამსწრე საზოგადოება ამ მხრივ კმაყოფილი დაიშალა...

**დიოგენი.**

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დაწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
>
> Suisse. Recommandée
>
> Comité International de la Rouge.
>
> Agence des prisonniers de guerre Genéve.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ საავ. | 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ⁊ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.


წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხაჲაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი

ძმ. მეგველიძეები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.